# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 31 მაისი, 2012 | №128 (5818) | ფასი: 30 თეთრი



28 მაისიდან
„ახალ თაობასთან" ერთად
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი
მეორე ტომი
ფასი გაზეთთან ერთად — 6 ლარი





## გახდება თუ არა მერაბიშვილი ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი

გვ.3



გვ.2

## თინა ხიდაშელი: ხელისუფლების რღვევა დაიწყო





გამოცდების ეროვნულ ცენტრს პოლიციის აკადემიის ყოფილი რექტორი უხელმძღვანელებს

გვ.3

## დიმიტრი შაშკინი: „ღმერთი მოწმეა, რომ მიმინოშვილის მოხსნა არ მინდოდა"

## ლეიბორისტები ცეზარ ჩოჩელს სამშობლოს ღალატში ადანაშაულებენ

გვ.5



## სააკაშვილი რუსეთის თავდასხმას არჩევნებისთვის ელოდება

გვ.4



## ზურაბ ზვიადაურის მეგობარი აღნიშნული „მიზეზით" ძიუდოს ფედერაციიდან გაათავისუფლეს

გვ.6

## პატრიარქი სამშობლოში დაბრუნდა

გვ.5



## სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მოთხოვნით აქციები დაიწყო

გვ.4


23 მაისიდან
„ახალი თაობა"+ სალვადორ დალი
8 ლარი





ISSN 1987-9385

**2** საკვებ პროდუქტებზე ფასები შემცირდება?

**7** საქართველოს მაღალი დონის ექიმები არ ჰყავს

**4** პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების პრობლემით ომბუდსმენს 15 პედაგოგმა მიმართა

**6** საინგილოში ქართველებს კვლავ ავიწროებენ

# თინა ხიდაშელი: ხელისუფლების რღვევა დაიწყო

ნათია ხურცილავა

**კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ ხელისუფლების შიგნით რღვევასთან დაკავშირებით ნაადრევია საუბარი, თუმცა ის პარალელს ავლებს „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდთან.**

– ჯერ ძალიან ადრეა, რომ ოპტიმიზმით ვისაუბროთ ხელისუფლების სერიოზულ რღვევაზე, თუმცა პროცესი უკვე მიმდინარეობს, – ამბობს თინა ხიდაშელი.

ხიდაშელის განცხადებით, ხელისუფლების ბოლოდროინდელი ქმედებები შიშისა და პანიკის დასტურია.

– თავს ვიკავებ იმაზე საუბრისგან, რომ სერიოზული რღვევა ხელისუფლების შიგნით უკვე სახეზეა, თუმცა პროცესი უკვე დაწყებულია. თუმცა ჯერ არ ვართ იმ ეტაპზე, როდესაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მონსტრი ინგრევა, მაგრამ ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონსტრში დაბნეულობაა, ზეწოლა და პანიკა მაღალია. ამ ადამიანებმა კონტროლი დაკარგეს საკუთარ განცხადებებსა და მოქმედებებზე, – აღნიშნავს თინა ხიდაშელი.

კოალიციის წარმომადგენლის განცხადებით, ხელისუფლება მძიმე შეცდომებს უშვებს და სწორედ ამით ხსნის ის გამოცდების ეროვნული ცენტრის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

– ძალიან მძიმე და სამწუხარო შეცდომებს უშვებს საქართველოს ხელისუფლება. ამით არის გამოწვეული ის მოვლენები, რომელიც მოხდა. ვერ წარმომიდგენია ვერც ერთი მიზეზი, რაც აიძულებდა ცენტრის თანამშრომლებს, გადაედგათ ის ნაბიჯი, რომელიც გადადგეს, თუ არა უხეში მოქმედებები, ძალადობრივი მეთოდები, რომლითაც გაილაშქრეს ამ ცენტრის წინააღმდეგ. ძალიან არაჯანსაღი ვითარებაა, როდესაც ხელისუფლება ყველგან მტრებს ხედავს და ნადირობა აქვს გამოცხადებული განსხვავებული აზრის წინააღმდეგ, – ამბობს თინა ხიდაშელი. პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „რესპუბლიკური“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელ მაია მიმინოშვილთან „ქართულ ოცნებას“ ფუნდამენტური პრობლემები არასდროს ჰქონია.

ამის შესახებ თინა ხიდაშელმა ჟურნალისტებს „პრესა.გე.ტვ“-ის პრეს-კლუბში განუცხადა.

– მე არ მახსენდება სერიოზული და ფუნდამენტური კრიტიკა გამოცდების ეროვნული ცენტრის მისამართით. ამიტომაც „ქართული ოცნების“ დამოკიდებულებას ქალბატონი მაიასადმი სხვებზე ვერ განვაზოგადებ. მაია მიმინოშვილი ექსკლუზიური და გამონაკლისი შემთხვევაა. დღევანდელ ხელისუფლებაში კიდევ არსებობს რამდენიმე ადამიანი, ვინც თავის საქმეს კარგად აკეთებს, – განაცხადა თინა ხიდაშელმა და იქვე განმარტა, რომ თუ ამ ადამიანებს ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობა სურთ, იგი სიამოვნებით შეასრულებს შუამავლის როლს და დასძინა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ არსებულ რეჟიმს ებრძვის და არა საქართველოს ხელისუფლებაში დასაქმებულ პროფესიულ კადრებს.

– პირადად მე დღემდე მაქვს ურთიერთობა შენარჩუნებული ასეთ ადამიანებთან ამ ხელისუფლებაში, ეს იმით არის გამოწვეული, რომ მათ საქმიანობას ჩვენი ქვეყნისთვის არც ერთი პრობლემა არ შეუქმნია, პირიქით. ჩვენ არ ვებრძვით ხელისუფლებაში დასაქმებულ ადამიანებს, „ქართული ოცნება“ ებრძვის რეჟიმს, რომელმაც აამოქმედა საბჭოთა კავშირისთვის ჩვეული რეპრესიული მანქანა. ადამიანებს, რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი სამშობლოს წინაშე, სამართლიანი სასამართლოს პირობებში გაეცემათ პასუხი. არც მათ მიმართ არავინ არ აპირებს ერთპიროვნულად რეპრესიული ღონისძიებების გატარებას. საქართველოში სამართლიანი მართლმსაჯულება იტყვის თავის სიტყვას კონ-



კრეტულ დავასთან, კონფლიქტთან დაკავშირებით, – განაცხადა ხიდაშელმა.

თინა ხიდაშელი ხატია დეკანოიძის მიმინოშვილის ადგილზე დანიშვნას გამოეხმაურა. მისი თქმით, პოლიციის აკადემიის უკვე ყოფილი ხელმძღვანელის დანიშვნა დასტურია, რომ ყველგან პოლიცია უნდა იყოს.

– ხატია დეკანოიძის გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელად დანიშვნა იმის დასტურია, რომ ყველგან პოლიცია უნდა იყოს, – ამის შესახებ „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერმა, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა, თინა ხიდაშელმა განაცხადა.

თუმცა, ხიდაშელი ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას დადებითად აფასებს ლუსტრაციის კუთხით.

– ეს დანიშვნა სწორი გადაწყვეტილება იყო იმიტომ, რომ ლუსტრაცია ღიად შედგა და აღარ ინიღბება არაფერი. ის, რომ დიმიტრი შაშკინი შინაგან საქმეთა სამინისტროა, ყველამ ვიცოდით, დღეს ეს უბრალოდ დადასტურდა. მივესალმები, როდესაც ხელისუფლება ასეთ გამჭვირვალე ნაბიჯებს დგამს და ყველაფერს თავის სახელს არქმევს, ყველგან შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა იყოს, ყველგან უნდა იყოს პოლიცია, – განაცხადა ხიდაშელმა.

თინა ხიდაშელის თქმით, როდესაც მანდატურები შეიყვანეს სკოლაში, პოლიციის ფორმიანი ადამიანები, ეს იყო დასტური იმის, რომ ყველგან პოლიცია უნდა იყოს. – დღეს ეს გააფორმეს ოფიციალურად, გამოცდებზეც კი პოლიციის კონტროლის დაწესებით, – დასძინა ხიდაშელმა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი არ გამორიცხავს, რომ „ვინმეს აზრად გაუჩნდეს, სისხლის სამართლის საქმე აღძრან გამოცდების ეროვნული ცენტრის უკვე ყოფილი ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის წინააღმდეგ“. – ეს ხელისუფლება ძალიან ბევრ უსიამოვნო სიურპრიზს მოუწყობს საქართველოს. ძალიან ბევრ სკანდალში და სირცხვილში გახვევს. მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება ძალიან სერიოზული სირცხვილი ქვეყნისათვის. ჩვენი მთავარი ამოცანაა მინიმუმამდე დავიყვანოთ და ავაცილოთ 4–5 თვის განმავლობაში ხელისუფლების უგუნურებით გამოწვეული ქმედებები. მაია მიმინოშვილი ძალიან ძლიერი ადამიანია. აქ საუბარია პრესტიჟზე. მაია მიმინოშვილი არ მუშაობდა ისეთ უწყებაში, რომელიც კარჩაკეტილად ეწეოდა საქმიანობას, ეს ცენტრი იყო თანამშრომლობის ნიმუში. ამიტომ ეს გაცილებით უფრო სერიოზული და მასშტაბური პრობლემა იქნება, ვიდრე ერთი სისხლის სამართლის საქმე, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ხიდაშელის განცხადებით, გამოცდების ეროვნულ ცენტრში პროცესები ძალიან გამჭვირვალედ მიმდინარეობდა, ძალიან ბევრ ადამიანს შეხვედრია უცხოეთში, რომლებიც ამ ცენტრის საქმიანობას დადებითად აფასებდნენ.

ხიდაშელის განცხადებით, ჯერ საკმაოდ დიდი დროა არჩევნებამდე და უკვე ხელისუფლება ძალიან მძიმე შეცდომებს უშვებს.

მანვე ისაუბრა ბიძინა ივანიშვილის და მაია მიმინოშვილის შეხვედრაზე და განმარტა, რომ ეს იყო ძალიან კონკრეტული მიზეზით გამოწვეული.

– საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს გათავისუფლება მაია მიმინოშვილის ვაჟის „ქართული ოცნების“ აქციაში მონაწილეობას უკავშირდებოდა.

მე ვფიქრობ, რომ სრულიად ადამიანური, მორალური ჟესტი იყო ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, რომ ამ საქმით დაინტერესებულიყო; დაინტერესებულიყო იმით, ხომ არ იყო იმაზე დიდი პრობლემა, ვიდრე ადამიანის თანამდებობიდან გათავისუფლება, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ხიდაშელის განცხადებით, მაია მიმინოშვილის გარდა, ხელისუფლებაში კიდევ არის რამდენიმე ადამიანი, რომელთა საქმიანობას ქვეყნისათვის არავითარი პრობლემა არ შეუქმნია. „თუ ისინი გახდებიან პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლნი, მე სიამოვნებით ვიქნებოდი ხიდი მათსა და „ქართულ ოცნებას“ შორის. ჩვენ არ ვიბრძვით ხელისუფლებაში დასაქმებული ადამიანების წინააღმდეგ, არამედ ვებრძვით რეჟიმს, რომელმაც აამოქმედა საბჭოთა კავშირის დროინდელი რეპრესიული მანქანა“, – დასძინა თინა ხიდაშელმა.

ხიდაშელის განცხადებით, ხელისუფლების შიშის მიზეზი მზარდი „ქართული ოცნებაა“, რომელიც ქუჩებში გადმოდის და ქვეყანას მოედება ივნისის განმავლობაში.

– ამ ადამიანებმა საკუთარ განცხადებებსა და მოქმედებებზე კონტროლი დაკარგეს. არც შაშკინი და არც გიგი წერეთელი არ განიცდის ინტელექტის ნაკლებობას. ყოველგვარი ცინიზმის გარეშე ვამბობ, შოკში ჩავვარდი, როდესაც გიგი წერეთლის განცხადება წავიკითხე. ბევრი ადამიანისგან ვიფიქრებდი, რომ ამას ხმამაღლა იტყოდა, მაგრამ არა გიგი წერეთლისგან, რადგან ვფიქრობდი, რომ მას მედიასთან საუბარში მაინც გაცნობიერებული ჰქონდა, გაეგებოდა დემოკრატიის ანაბანა, მაგრამ ხელისუფლებისგან ზეწოლა, წნეხი იმდენად მაღალია, რომ მედიასთან სწორი საუბრის გამოცდილების მქონე ადამიანებიც კი, როგორიც გიგი წერეთელია, ასეთ შეცდომას უშვებენ. ხელისუფლებამ პირველად მოგვცა ასეთი ღია ჩვენება. მათ ჰგონიათ, რომ თურმე ბიუროკრატია ქვეყანაში პარტიული საკუთრება უნდა იყოს. სწორება ბელადზე უნდა იყოს და ვისაც განსხვავებული აზრი აქვს, არ აქვს უფლება, პროფესიონალი იყოს და მუშაობდეს. ამას ხელისუფლება აკეთებს, მაგრამ გიგი წერეთელმა გაახმოვანა ის, რასაც, როგორც ჩანს, მუდმივად კულისებს მიღმა საუბრობენ. ეს ადასტურებს, რომ მათი საქციელი არის მთავარი დადასტურება იმ შიშის, რომელიც ხელისუფლების შიგნით სუფევს, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

თინა ხიდაშელს ჟურნალისტებმა ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოთქმულ სურვილზეც ჰკითხეს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჰილარი კლინტონთან შეხვედრას ეხება.

ბიძინა ივანიშვილმა ასეთი სურვილი უკვე გამოთქვა და როგორც ცნობილია, პოლიტიკურმა კოალიცია „ქართული ოცნება“ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში წერილით მიმართავს აღნიშნულთან დაკავშირებით, რომ ჰილარი კლინტონისა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა შედგეს.

თუმცა, ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო დეპარტამენტმა, თავად ჰილარი კლინტონმა უნდა მიიღოს.

როგორც თინა ხიდაშელი აცხადებს, ის არ აპირებს ამ თემით სპეკულირებას, რადგან შეხვედრა – არ შეხვედრის საკითხი მთლიანად თეთრ სახლზე და სახელმწიფო მდივანზეა დამოკიდებული.

# საკვებ პროდუქტებზე ფასები შემცირდება?

ნათია ხურცილავა



გუშინ მთავრობის სხდომა გაიმართა, სადაც პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ეკონომიკური მაჩვენებლები შეაფასა. გილაურმა დაასახელა ის ციფრი, რომელიც პირდაპირი ინვესტიციების გზით შემოვიდა ქვეყანაში.

– მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების სახით 230 მილიონი დოლარი შემოვიდა. – ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე, როგორც აღვნიშნეთ, ნიკა გილაურმა განაცხადა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ეს არის სტატისტიკის ეროვნული უწყების წინასწარი მონაცემები.

გილაურის განმარტებით, აღნიშნული მონაცემები 32%-ით აღემატება გასული წლის პირველი კვარტალის მონაცემებს.

– გასული წლის პირველ კვარტალში ეს იყო ჯამში 174 მილიონი დოლარი და ეს არის ძალიან კარგი ზრდა, – ამბობს გილაური.

პრემიერ–მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, ეს ციფრი პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია სამუშაო ადგილების შექმნასთან, რადგან პირდაპირი ინვესტიციები არის თანხა, რომელიც საქართველოში შემოდის უცხოეთიდან და ახალი ან ძველი საწარმოების რეაბილიტაცია ხორციელდება.

– ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ ციფრის ზრდა. გასული წლის მონაცემების მიხედვით, ჯამში ჩვენ გვქონდა ერთი მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიციები. პირველ კვარტალში არის ხოლმე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, რომელიც შემდეგ იზრდება, – განაცხადა ნიკა გილაურმა.

პრემიერ–მინისტრის თქმით, წელსაც მთავრობა ელოდება, რომ მაჩვენებელი კვარტალურად გაიზრდება და წლევანდელი წლის მონაცემებით, პირდაპირი ინვესტიციები ერთ მილიარდ დოლარზე მეტი იქნება.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ფასების დონე შემცირდა აპრილთან შედარებით, ასევე გასული წლის მაისთან მიმართებაშიც.

– დეფლაცია გასული წლის მაისთან მიმართებაში იყო 3,3^%-იანი. კარგად გახსოვთ, რომ გასული წლის მაისი იყო ერთ-ერთი ყველაზე ინფლაციური თვე 2011 წლის განმავლობაში. 14%-ზე მაღალი იყო მაშინ ინფლაცია, შესაბამისად ეს ეფექტი თავის შედეგს იღებს წელს და ფასების დონე შემცირებულია გასული წლის მაისთან მიმართებაში, – განაცხადა ნიკა გილაურმა.

პრემიერის განცხადებით, გასული წლის მაისის ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ცვლაზე.

– დღეს საერთაშორისო ბაზრებზე, საკვებ პროდუქტებზე ფასები შემცირებულია და ეს აისახა შიდა მაკროეკონომიკურ პარამეტრებზეც, – განაცხადა ნიკა გილაურმა.

# მედია-კავშირი „ობიექტივი“ ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებს

მედია-კავშირი „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან „ობიექტივის“ ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებზე სხვადასხვა სახის ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით, გუშინ განცხადება გაავრცელა.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, „ობიექტივის“ ოფისისა და თანამშრომელთა საცხოვრებელი კორპუსების წინ, სისტემატური ხასიათი აქვს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა „მორიგეობას“, ასევე, უკანონო თვალთვალსა და სატელეფონო მოსმენას.

„ღამის სტუდიის“ დასრულების შემდეგ, სახლის სადარბაზომდე სისტემატურად მაცილებს უნომრო დაბურულმინიანი ავტომანქანა. „წინააღმდეგობის მოძრაობის“ თავმჯდომარეს, „ობიექტივის“ წამყვანს დავით თარხან-მოურავს კი, ძალოვანი სტრუქტურებიდან ემუქრებიან დაპატიმრებით, თუ ის საქართველოს არ დატოვებს“ – ნათქვამია განცხადებაში.

ინაშვილის თქმით, „ობიექტივის“ ოფისის წინ, კინოს სახლის მიდებარე ტერიტორიაზე სისტემატურად აზიანებენ „ობიექტივის“ წამყვანებისა და სტუმრების ავტომანქანებს.

მისივე თქმით, ის ფლობს ინფორმაციას იმის თობაზე, რომ შესაძლოა, მას ნასვამ მდგომარობაში მყოფი პირის ავტომანქანა დაეჯახოს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, „ობიექტივის“ დამწყებ ჟურნალისტებს ოჯახის წევრების დაპატიმრებით ემუქრებიან თუ „ობიექტივს“ არ დატოვებენ.

ინაშვილის განცხადებით, მიუხედავად ზეწოლისა, მედია-კავშირი „ობიექტივი“ და წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობა არ აპირებენ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას.

ინაშვილი უფლებადამცველ ორგანიზაციებს და დამოუკიდებელ მედია-საშუალებებს სოლიდარობის გამოხატვისკენ მოუწოდებს.

„ობიექტივი“ განცხადების ტექსტს ყველა საერთაშორისო ჟურნალისტურ ორგანიზაციას გადაუგზავნის. ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გახდება თუ არა მერაბიშვილი ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი

თეა მარხვაიძე



მოსწონს ვინმეს თუ არა, ფაქტია, რომ ვანო მერაბიშვილი საქართველოში ყველაზე გავლენიანი მინისტრია. მართალია მასზე ბევრ ცუდს ამბობენ, მაგრამ საზოგადოებაში ის დიდი პოპულარობით სარგებლობს. აღარაფერს ვამბობთ მის თანამშრომლებზე.

მერაბიშვილის პოპულარობა არაერთი გამოკითხვით დადასტურდა. მმართველ გუნდშიც კარგად აცნობიერებენ მის ძალას და უნდათ თუ არა, მას ანგარიშს უწევენ. ჰოდა, არ არის გამორიცხული, თუ ის ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი გახდება.

შს მინისტრი რომ პარლამენტში წავა, ამაზე უკვე დიდი ხანია დადის ხმები. სახელდება რაიონები, სადაც შესაძლოა ვანომ მაჟორიტარად იყაროს კენჭი. ყველაზე ლოგიკურია, თუ ის კენჭს მშობლიურ მხარეში იყრის. თუმცა, არის მოსაზრება, რომ ის კენჭს გორის რაიონში იყრის. რატომ მაინცდამაინც გორი, ამას არ აკონკრეტებენ. ისე, ბოლო დროს მერაბიშვილი სტალინის მშობლიურ ქალაქს ძალიან დაჰფოფინებს. საფეხბურთო კლუბ გორის „დილას“ ის პატრონობს. როგორც ამბობენ, სწორედ მისი წყალობით მოიგო ამ გუნდმა საქართველოს თასი.

არადა, ვანო მერაბიშვილს ფეხბურთი არ უყვარს. ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთ ინტერვიუში თავად თქვა ასე. ისიც კი გაიკვირვა, ხალხი ფეხბურთელების გვარებს როგორ ან რატომ იმახსოვრებსო. ახლა კი ისე შეჰყვარებია, რომ „დილას“ გულშემატკივრობს.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მადლიერმა „დილამ“ მინისტრს „დილის“ მაისური აჩუქა. რა ნომერი იყო გამოსახული, არ ვიცით. ისე, გორელ ფეხბურთელებს ჯობდა, მისთვის 022-ნომრიანი მაისური ეჩუქებინათ.

6 მაისს, პოლიციის დღისადმი მიძღვნილი ალლუმიც, მისი მოთხოვნით, გორში გაიმართა. ეს, ცხადია, შემთხვევით არ მომხდარა. მერაბიშვილი გორს განსაკუთრებით ლობირებს.

მაჟორიტარების წარდგენა პოლიტიკურმა პარტიებმა უკვე დაიწყეს. ამ საქმეში არც ნაციონალები დაიგვიანებენ. ასე რომ, მალე შევიტყობთ, იქნება თუ არა ის გორის მაჟორიტარობის კანდიდატი. უფრო დიდი შანსია, რომ მმართველი გუნდის საარჩევნო სიის პირველი ნომერი გახდეს.

სხვა დროს მერაბიშვილს დეპუტატობისთვის არ გაიმეტებდნენ, ალბათ (წესით სააკაშვილი მას არც უნდა შეელიოს). ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ ბევრი რამე შეცვალა. ნაცმოძს ახლა ნამდვილად გაუჭირდება ოპოზიციასთან გამკლავება.

საარჩევნო სიაში, როგორც ამბობენ, პოპულარული ხალხის შეყვანას შეეცდებიან. მერაბიშვილზე პოპულარული კი მმართველ გუნდს არავინ ჰყავს. ხანდახან ის სააკაშვილზე მაღალი რეიტინგითაც კი სარგებლობს.

კარგა ხანს მინისტრი ჩრდილში იდგა, საჯარო განცხადებების გაკეთებას ერიდებოდა. ახლა ვითარება რადიკალურად არის შეცვლილი. ცოტა ხნის წინ მინისტრმა თქვა, რომ პოლიცია უფრო პოპულარულია, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა, რაც სრული სიმართლეა. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ის ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი იქნება.

# დიმიტრი შაშკინი: „ღმერთი მოწმეა, რომ მიმინოშვილის მოხსნა არ მინდოდა“

## გამოცდების ეროვნულ ცენტრს პოლიციის აკადემიის ყოფილი რექტორი უხელმძღვანელებს

თეა მარხვაიძე




**განათლების სამინისტროში მომხდარი გაუგებრობა კვლავ ყურადღების ცენტრშია. ოპოზიცია ნეტარებაშია. ამტკიცებენ, რომ მაია მიმინოშვილის მოხსნით ხელისუფლების რღვევა დაიწყო. ამას ნაცმოძი კატეგორიულად უარყოფს. ამტკიცებენ, რომ ისინი კვლავ ერთ გუნდს წარმოადგენენ. ოპოზიცია კი მალე მათ მარტივ მამრავლებად დაშლას უწინასწარმეტყველებს.**

ოპოზიცია განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს. შაშკინის დაჭერა ოპოებმა მაია მიმინოშვილის განცხადების შემდეგ მოითხოვეს.

29 მაისს „მაესტროს“ ეთერში მიმინოშვილმა თავის ყოფილ შეფს სერიოზული ბრალდება წაუყენა. მისი მტკიცებით, დიმიტრი შაშკინის ნებართვით 600-მდე ყალბი ატესტატი გაიცა.

მაია მიმინოშვილის მტკიცებით, გასული წლის აგვისტოში, ერთიანი ეროვნული გამოცდების დასრულების შემდეგ, ლოგისტიკის დეპარტამენტში პრეტენზიით რამდენიმე ახალგაზრდა მივიდა, რომელთაც ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის პრეტენზია ჰქონდათ, თუმცა მათზე ატესტატები გაცემული არ იყო.

– ჩვენმა თანამშრომლებმა ეს მოსწავლეები ბაზაში მოძებნეს, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს მოსწავლეები გამოსაშვებ გამოცდებზე ჩაჭრილები იყვნენ. ჩვენ განვუცხადეთ, რომ ჩაჭრილი ხარ და ამიტომაც ვერ მიიღებდი მონაწილეობას ეროვნულ გამოცდებში. მათ წარმოგვიდგინეს ატესტატები. კი ჩავიჭერით, მაგრამ ატესტატი მოგვცესო. ამ მოსწავლეთა რაოდენობა 600-მდეა. როდესაც მე ამ საკითხზე დიმიტრი შაშკინს დაველაპარაკე, ის ამისათვის მზად იყო. მივიღე პასუხი, რომ პოლიტიკურად ასე იყო საჭირო. დიმიტრი შაშკინმა დამაბარა, შენს თანამშრომლებს უთხარი, რომ ეს ატესტატები არის ყალბი და დაწყნარდეს ყველა. ეს არის კრიმინალი, – განაცხადა მიმინოშვილმა.

მიმინოშვილის ამ განცხადებას გუშინ განათლების სამინისტროც გამოეხმაურა. შაშკინის უწყებამ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს, რომ სსიპ-გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი დირექტორის მაია მიმინოშვილის მიერ გაკეთებული განცხადება სპეციალური სერიის სრული ზოგადი განათლების ატესტატების გაცემასთან დაკავშირებით არ შეესაბამება სიმანდვილეს.

კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმად, 2011 წლის სკოლის კურსდამთავრებულთათვის განისაზღვრა სპეციალური სერიის მქონე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატების გაცემა. გამონაკლისი დაიშვა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე არ დარეგისტრირდნენ ან ვერ მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მისაღებად საჭირო საგნებში დადებითი შეფასება.

სპეციალური სერიის სრული ზოგადი განათლების ატესტატები მიიღეს 2010-2011 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა ორმა კატეგორიამ და მათი რაოდენობა 298-ს არ აღემატება. პირველი კატეგორიაა ჩვენი თანამოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელი და სომეხი მოსწავლეები, რომლებმაც ქართული ენის არასრულფასოვანი ცოდნის გამო ვერ დაძლიეს სკოლის გამოსაშვები გამოცდები. ატესტატები აიღო ასევე 14-მა განსაკუთრებით ნიჭიერმა ქართველმა მოსწავლემ, რომლებმაც გამოცდები წარმატებით ჩააბარეს მსოფლიოს წამყვან იმ უნივერსიტეტებში, სადაც ჩარიცხვის ძალიან მკაცრი მექანიზმები მოქმედებს. ამ უნივერსიტეტებს გააჩნიათ საკუთარი საგამოცდო სისტემა, რომელიც დროში ემთხვევა საქართველოში მიმდინარე სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს. გამომდინარე იქიდან, რომ დაცულ იქნეს თითოეული მოსწავლის უფლება, სამინისტრომ მიიღო ამ მოსწავლეებზე სპეციალური სერიის სრული ზოგადი განათლების ატესტატის გაცემის გადაწყვეტილება. სპეციალური სერიის სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე მოსწავლეებს არ აქვთ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება.

სამინისტრო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ საქართველოს განათლებისა და მენციერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი იყო რეფორმის ინიციატორი, რომელმაც მთლიანად შეცვალა ქვეყანაში ყალბი ატესტატების გაცემის თეორიული შესაძლებლობაც კი. მინისტრის ინიციატივით დაინერგა ახალი მოდელი. კერძოდ, თუ რეფორმამდე ატესტატებს სკოლის დირექტორი ავსებდა და გასცემდა, ამჟამად ატესტატების აღრიცხვა ცენტრალიზებულად, მხოლოდ ელექტრონული ბაზის საშუალებით ხორციელდება. ელექტრონულ ბაზაზე წვდომა კი მხოლოდ გამოცდების ეროვნულ ცენტრს აქვს, რაც სამინისტროს მხრიდან ყალბი ატესტატის გაცემის შესაძლებლობას გამორიცხავს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სიყალბე არის ყალბი ინფორმაციის ან ჩანაწერის შეტანა ოფიციალურ დოკუმენტში, რასაც სპეციალური სერიის სრული ზოგადი განათლების ატესტატის გაცემისას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან სრული ზოგადი განათლების ატესტატები, რომლებიც სამინისტროს მიერ გაიცა, არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რეგისტრირებულია საქართველოს ფინანსთა სამინსიტროს მიერ და შეიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა დამცავ მექანიზმს, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადება „ტრუხა“ ატესტატების გაცემაში ბრალდებულმა შაშკინმაც გააკეთა. მან საზოგადოებას გამოცდების ცენტრის ახალი ხელმძღვანელი წარუდგინა. სწორედ წარდგენისას გააკეთა განცხადება.

– მე მაია მიმინოშვილი გავათავისუფლე იმის გამო, რომ მასთან პირადი შეუთავსებლობა მქონდა, რაც რამდენიმე საკითხში გამოიხატებოდა. მოდით, წარმოვიდგინოთ ერთი დიდი ოჯახი, რომელიც საკმაოდ გაძლიერდა და გადაწყვიტა კარგი სასადილო გააკეთოს. ისინი დიზაინერსა და სამშენებლო კომპანიას ქირაობენ და დავალებას აძლევენ, მაგრამ კომპანიის ერთ-ერთი ხელოსანი უარს ამბობს ამ სამუშაოს შესრულებაზე, რადგან ამას არ ეთანხმება. სამშენებლო კომპანიას ერთადერთი რამ დარჩენია – შეცვალოს ხელოსანი. ოჯახი, ანუ შემკვეთები უმაღლესი სასწავლებლის რექტორები, სკოლის დირექტორები და პედაგოგები არიან. ღმერთია მოწმე, რომ ეს მე არ მინდოდა, – აღნიშნა შაშკინმა.

ამის შემდეგ შაშკინი უკვე ატესტატებზეც გადავიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მან ბრალდება უარყო. შაშკინის განცხადებით, ატესტატების ბაზასთან წვდომა მხოლოდ გამოცდების ეროვნულ ცენტრს ჰქონდა. კოდი, თურმე, არც მინისტრმა და არც სამინისტროს სხვა რომელიმე თანამშრომელმა არ იცოდა.

მინისტრის მტკიცებით, ატესტატების სისტემის შეცვლის შემდეგ, ატესტატების გაყალბების საშიშროება მინიმუმამდეა დაყვანილი.

შაშკინი ახლო მომავალში მასზე ახალი ჭორების გავრცელებას არ გამორიცხავს.

–სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში კიდევ დარჩნენ ადამიანები, რომლებიც მიმაგრებულნი არიან სკამზე და სკამის დაკარგვის შემდეგ ახსენდებათ, რომ მინისტრი კრიმინალია. ველოდები, რომ უახლოეს მომავალში ჩემ შესახებ კიდევ ბევრ ახალ ამბავს გავიგებ. მზად ვარ, გავიგო ახლო მომავალში, რომ მე კენედი მოვკალი, რომ სატანა ვარ და ის ხალხი, ვინც მაია მიმინოშვილის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდნენ, ასევე სატანის მსახურები არიან. მაგალითად, აღმოვაჩენთ, რომ ალექსანდრე კვიტაშვილი ბავშვებს ჭამს და გია მურღულიაც სატანის მსახურია. ასეთია ადამიანის ბუნება. ძალიან სამწუხაროა, – აღნიშნა შაშკინმა.

განცხადება გუშინ გამოცდების ეროვნული ცენტრის ახალმა უფროსმა ხატია დეკანოიძემაც გააკეთა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ახალი ხელმძღვანელის, ხატია დეკანოიძის განცხადებით, ცენტრის თანამშრომლებიდან ვინმეს სამსახურიდან წასვლა თუ უნდა, ეს მათი უფლებაა და ხელს არავინ შეუშლის.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ის ცენტრში თავის გუნდთან ერთად მიდის, ძველი თანამშრომლებიდან სამსახურში დარჩენას ვინც გადაწყვეტს, მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს.

# დავით სანაკოევი ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა



ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტობის ექს-კანდიდატი დავით სანაკოევი დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. დე ფაქტო პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის გადაწყვეტილებით, „სანაკოევი ომბუდსმენის თანამდებობიდან გათავისუფლებულია და დღეიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს უხელმძღვანელებს“. რაც შეეხება ყოფილ დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრს მურატ ჯიოევს, იგი ამიერიდან პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენლის თანამდებობას დაიკავებს.

პირველი



# შალვა შავგულიძე: სერგო ჩაჩიბაია პოლიტიკური პატიმარია

ადვოკატ შალვა შავგულიძის განცხადებით, დღეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელის სერგო ჩაჩიბაიას საქმეზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებმაც ცხადყო, რომ ჩაჩიბაია პოლიტიკური პატიმარია.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ბრალდებულის ადვოკატმა აღნიშნა, ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენება ჩაჩიბაიას ბრალეულობას არ ადასტურებს. დაცვის მხარის ჩვენებებმა კი, აშკარა გახადა, რომ ის უდანაშაულოა.

„ეს ისედაც ნათელი იყო. ამ ეტაპზე საქმეში არსებითი მნიშვნელობის სიახლე არაფერია“,-განაცხადა ადვოკატმა.

შეგახსენებთ, რომ ჩაჩიბაია ზუგდიდში 25 მარტს დააკავეს. მას ცივი იარაღის უკანონოდ ტარება და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ედება ბრალად, რაც ჯამში 4-5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

# ბაღათურია აკაკი ასათიანთან რაიმე სახის კონსულტაციებს უარყოფს



პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ ლიდერი, ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია ტრადაციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანთან რაიმე სახის კონსულტაციებს უარყოფს.

მან ჟურნალისტებთან საუბრისას კომენტარი გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ გააკეთა, რომლის თანახმადაც, ჯონდი ბაღათურია აკაკი ასათიანსა და „სახალხო კრებასთან“ ერთად ახალი გაერთიანების ჩამოყალიბებას აპირებს.

მისი თქმით, არანაირი დიალოგი აკაკი ასათიანთან არც აქამდე ჰქონია და არც მომავალში აპირებს. რაც შეეხება „სახალხო კრებასა“ და „ქართულ ოცნებასთან“ რაიმე სახის კონსულტაციებს, ბაღათურია მათთან კონსულტაციებს არც ადასტურებს და არც უარყოფს.

„ჩვენ სახალხო კრებასა და „ქართულ ოცნებასთან“ კოლეგიალური ურთიერთობა გვაქვს. „ქართულ დასის“ პოზიციაა, რომ უმჯობესია ერთი ოპოზიციური ფრონტი შეიქმნას, ერთი დიდი საარჩევნო ბულდოზერი, რომლის დანიშნულებაც იქნება, პოლიტიკური მოედანი განმინდოს იმ ნაგვისაგან, რომელიც ამ მოედანზე დაგროვდა“, – აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

მედიანიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მოთხოვნით აქციები დაიწყო

შორენა გონგლაძე

„გათავისუფლდეს სასამართლო პროკურატურის ზეწოლისაგან“, „ჩვენ გვინდა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო“ „შეწყდეს უკანონო გადაწყვეტილებები“ – ამ შინაარსის ტრანსფარანტებით აპროტესტებდნენ გუშინ უზენაეს სასამართლოსთან პარტია „მომავალი საქართველო“ და „ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია“ სასამართლოებში არსებულ მდგომარეობას. აქციას პატიმართა ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ. პარტიის ლიდერის, გიორგი ლალიძის განცხადებით, თუ ჩვენს ქვეყანას აქვს პრეტენზია, რომ გახდეს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს არსებობაა. მისივე თქმით, არსებულ სასამართლო სისტემას აკრიტიკებს ქართველი საზოგადოება, საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სასამართლო სისტემა არ იყოს თავისუფალი.




– ჩვენ დღეს შევიკრიბეთ უზენაეს სასამართლოსთან პარტია „მომავალი საქართველოს“ წარმომადგენლები, ასევე მხარდაჭერას გვიცხადებენ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები და პატიმართა ოჯახის წევრები. ჩვენი შეკრების ერთ-ერი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სასამართლო სისტემა, სასამართლო პრაქტიკულად დაიმონა სააკაშვილის რეჟიმმა, სასამართლო იქცა პროკურატურის უსიტყვო ნების შემსრულებლად. მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას აქვს პრეტენზია, რომ გახდეს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს არსებობა. არსებულ სასამართლო სისტემას აკრიტიკებს ქართვლი საზოგადოება, აკრიტიკებს საერთაშორისო ორგანიზაციები, სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სასამართლო სისტემა არ განთავისუფლდეს მათი კლანჭებიდან. ამ დამონებული სასამართლოს შედეგია ის, რომ დღევანდელ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არის უამრავი უკანონო პატიმარი ადამიანი, სრულიად უდანაშაულოდ არიან დაკავებულები და არაადამიანურ პირობებში იმყოფებიან. აქედან გამომდინარე, ჩვენ დავიწყეთ პერმანენტული აქციები სასამართლოებთან, ეს არის პირველი აქცია უზენაეს სასამართლოსთან, ხვალ გაიმართება სააპელაციო სასამართლოსთან და ასე შემდეგ. ჩვენ გვინდა, რომ ეს თემა წინ წამოვწიოთ, გვინდა ყველამ იცოდეს, რომ საქართველოში სასამართლო სისტემა არ არსებობს და ამ უსამართლობის მსხვერპლი არის უამრავი უდანაშაულო ადამიანი. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქართუველი საზოგადოება იყოს დაშინებული, ქართველ საზოგადოებას საკუთარ ქვეყანაში არ ჰქონდეს სამართლიანობის განცდა. ალბათ გახსოვთ სააკაშვილის გამოსვლა პარლამენტში, როდესაც მან მუშტი აბრახუნა მაგიდაზე ნულოვანი ტოლერანტობის მოთხოვნით და პრაქტიკულად სასამართლოებმა უსიტყვოდ შეასრულეს მისი ეს მოთხოვნა და დღეს ქართულ ციხეები არის გადავსებული და უამრავი უდანაშაულო ადამიანი იხდის სასჯელს. საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აქვს უსამართლობის განცდა, თუმცა ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ორგანიზაციები ატარებენ სხვადასხვა კვლევას და მათი მონაცემებით, თურმე სასამართლოს სანდოობის ხარისხი არის ზენიტში, რაც, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი პრობლემა, თუ ქვეყანაში არ იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ეს ხელისუფლება, რომ ეს მანკიერი კურსი შეცვალოს და სასამართლოები გათავისუფლდეს სააკაშვილისა და ნაციონალური ხელისუფლების ზეწოლისაგან.

**დავით თორდუა, ადამიანის უფლებათა დამცველი:**

–ჩვენ დავიწყეთ ერთობლივი საპროტესტო აქციები მხოლოდ ერთი მოთხოვნით: სასამართლოები განთავისუფლდეს ხელისუფლების ზეწოლისაგან, მოსამართლეს ჰქონდეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალება. პროკურატურა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოეხსნას სასამართლოს. თუ ეს არ მოხდება, ქვეყანას ძალიან გაუჭირდება მსოფლიოში საკუთარი ადგილის დამკვიდრება. საქართველო ოცწლიანი დამოუკიდებლობის შემდეგაც კი არშემდგარი სახელმწიფოების რიგში დგას. ასე ძალიან გაგვიჭირდება და დროში კიდევ უფრო მეტად გადაიწევს ნატოში შესვლის პერსპექტივა. ამიტომ დროა სააკაშვილი მიხვდეს, რომ მან საკუთარი რესურსები ამოწურა. სააკაშვილი და ეს ხელისუფლება აუცილებლად უნდა წავიდეს, თუმცა მანამდე სასამართლოები პროკურატურის ზეწოლისგან უნდა განთავისუფლდეს.

**როლანდი ხორავა, აქციის მონაწილე:**

– მე ვარ პატიმრის მშობელი. ჩემი შვილი, ვთვლი, რომ აბსოლუტურად უკანონოდ არის დაკავებული. მე როდესაც ვხვდები ჩემს შვილს, ვატყობ, რომ ძალიან ცუდ პირობებში უწევს ყოფნა. მართალია საუბრის საშუალება ასეთ საკითხებზე არ გვაქვს, ვინაიდან გვეშინია, უფრო მეტი პრობლემა არ შეუქმნან. მე დანამდვილებით ვიცი, რომ პატიმრებს გაუსაძლის სიტუაციაში უწევთ ყოფნა. ღამით შედიან საკნებში, გამოჰყავთ ნებისმიერი პატიმარი, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება, სცემენ, აყენებენ ყველანაირ შეურაცხყოფას. ეს არის დამოუკიდებელი სასამართლო? სააკაშვილმა უკანონოდ ჩაიგდო ხელში ეს ქვეყანა და რასაც მოისურვებს, იმას აკეთებს. მე მინდა, ყველა პატიმრის მშობელს მოვუწოდო, დადგნენ ერთად, რათა ერთიანი ძალით შევეწინააღმდეგოთ ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობას.

# სააკაშვილი რუსეთის თავდასხმას არჩევნებისთვის ელოდება

შორენა გონგლაძე

– ვიმედოვნებთ, რომ რუსეთი გახდება ნორმალური ქვეყანა, რომელთანაც თანამშრომლობა შესაძლებელი იქნება, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ლატვიის პრეზიდენტთან, ანდრის ბერზინშთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ, რიგის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. პრესკონფერენციის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებულ ვითარებაზე და აღნიშნა, რომ ახლა იქ მოსახლეობის რაოდენობა 10 ათასზე ნაკლებია.

„გასულ წლებში, განსაკუთრებით კი 2008 წელს, მოსახლეობის 90 პროცენტს დაატოვებინეს რეგიონი. რაც შეეხება აფხაზეთს, იქ 90-იანი წლებიდან მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტია დარჩენილი. ასე რომ, ეს ტერიტორიები ხალხისაგან დაიცალა. ჩვენ ნახევარ მილიონამდე დევნილი გვყავს, რომლებიც საკუთარი სახლებიდან გამოაძევეს. ჩვენ ვუწვდით ხელს იქ დარჩენილ მოსახლეობას და ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ მათ მიეცეთ შანსი, ისარგებლონ საქართველოს პროგრესით“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.



პრეზიდენტის თქმით, საქართველოს მთავრობა ახლა ყურადღებას მთლიანად უთმობს ქვეყნის შემდგომ პროგრესს და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას.

სააკაშვილის განცხადებით, საქართველო ხელს უწვდის რუსეთს, რაც გამოიხატება იმით, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის ცალმხრივად გაუქმდა სავიზო რეჟიმი.

„ქართველებისთვის რუსული ვიზის მიღება შეუძლებელია, მაგრამ რუსეთის მოქალაქეს საქართველოში უვიზოდ შეუძლია შემოსვლა. წელს რუსეთიდან მილიონამდე მოქალაქე ჩამოვა საქართველოში. ჩვენ ასევე ხელი გავუწოდეთ უამრავ რეგიონს ჩვენს სამეზობლოში. იმედი გვაქვს, რომ რუსეთშიც შეიცვლება აღქმა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, როდესაც ტრადიციული დიპლომატია ჩიხშია შესული, სახალხო დიპლომატიაა საჭირო და საქართველოს მთავრობამ საამისოდ ძალიან ბევრი რამ გააკეთა.

„დიმიტრი მედვედევმა ახლახან განაცხადა, რომ სურს საქართველოს მსგავსი რეფორმების განხორციელება, მაგრამ არ შეუძლიათ. თუმცა, აღიარებენ, რომ საქართველომ საინტერესო რეფორმები განახორციელა, რომლებსაც შეისწავლიან და გამოიყენებენ კიდეც. რა თქმა უნდა, მან ისიც თქვა, რომ პირადად მე ვძულვარ და ჩემი მოცილება სურს. რუსულ პოლიტიკაში ახალი არაფერია – მათთვის ტერიტორიების ოკუპაცია ჩვეულია და მათ ეს ბევრ ქვეყანაში გააკეთეს – ჩვენთან, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში... არც მთავრობების დამხობაა მათთვის უცხო. ავღანეთში ქვეყნის პრეზიდენტი ერთი საათის განმავლობაში გაანადგურეს. საქართველოში კი იმისთვის შემოიჭრნენ, რომ მე მოვეკალი და მთავრობა დაემხოთ, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, რუსეთის მორიგ შემოტევას ის ოქტომბრის არჩევნებზე ელოდება, თუმცა, მიიჩნევს, რომ ეს მცდელობა წარუმატებლად ჩაივლის.

„რუსეთის მორიგ შემოტევას ოქტომბრის არჩევნებზე ველოდებით. მგონია, რომ ეს მცდელობა წარუმატებლად ჩაივლის. რუსეთთან მიმართებაში ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად, კონსტრუქციული, მოქნილი ვიყოთ. მაგრამ რუსეთთან თანამშრომლობისთვის ჩვენი დამოუკიდებლობის დათმობას არ ვაპირებთ“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

# პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების პრობლემით ომბუდსმენს 15 პედაგოგმა მიმართა

სახალხო დამცველი 15 პედაგოგის საქმეს სწავლობს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს.

როგორც „ნიუსპრესს“ ომბუდსმენის აპარატში განუცხადეს, ეს საქმეები სახალხო დამცველთან გასული წლის სექტემბრიდან დღემდეა შესული.

„სახალხო დამცველის აპარატში წარდგენილ განცხადებებში პედაგოგები მოუთითებენ, რომ ისინი გაათავისუფლეს პოლიტიკური ნიშნით“ – აცხადებენ ომბუდსმენის აპარატში.

როგორც საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი, ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე აცხადებს, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში მონაცემები ქვეყნდება, სადაც საუბარია პედაგოგების, გამგეობების თანამშრომელთა და სხვა სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით ხალხის გათავისუფლების შესახებ.

„არსებობს ეუთო-ს კოპენჰაგენის ფუნდამენტური დოკუმენტი, რომელიც ძალიან მკაფიოდ მიჯნავს მმართველ პარტიასა და სახელმწიფო მოხელეს. სრული გაყოფა უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიისა და სახელმწიფო ბიუროკრატიასა თუ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის“ – განაცხადა ვეფხვაძემ. დეპუტატი მიიჩნევს, რომ ამ პრინციპის აღრევა საფუძველშივე ეწინააღმდეგება კოპენჰაგენის დომკუმენტს და დემოკრატიულ სახელმწიფოს, რითაც სააკაშვილს თავის მოწონება სურს.

ნიუსპრესი

# ზაქარია ქუცნაშვილი: ჩვენ არ წავალთ ქვეყნისთვის ზიანის მომტანი კონსტიტუციის უფლებების გამოყენებაზე



კოალიცია „ქართული ოცნების“ იურისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ზაქარია ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელსაც პრეზიდენტმა ხელი მოაწერა, უსამართლო და ქვეყნისთვის ზიანის მომტანია.

როგორც „ნიუსპრესს“ ქუცნაშვილმა განუცხადა, ქვეყნის მოყვარე და პასუხისმგებლობის მატარებელი ადამიანი ასე არ მოიქცეოდა.

„ჩვენ, ჩვენი უფლებების დაცვას სასამართლოს გზით გავაგრძელებთ და პრინციპულად მოვითხოვთ, რომ სასამართლო იმ ორივე მიმართულებით შედგეს, რაზეც სარჩელები გვაქვს შეტანილი, ესენია – ივანიშვილისთვის ჩამორთმეული მოქალაქეობის აღდგენა და ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მინიჭება“ – აღნიშნა მან.

მისი თქმით, 6 თვეა ამ საკითხებზე სასამართლო პროცესი არ ტარდება, რითაც უკვე კანონით განსაზღვრული ყველა ვადა დაირღვა.

„ჩვენ არ წავალთ ქვეყნისთვის ზიანის მომტანი კონსტიტუციის უფლებების გამოყენებაზე. ჩვენ წავალთ ჩვენი კანონიერი და სამართლებრივი უფლებების რეალიზაციის გზით“ – განაცხადა ქუცნაშვილმა.

საკონსტიტუციო ცვლილებები რომლის თანახმად, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებსაც აქვთ, ძალაში შევიდა.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ 22 მაისს დამტკიცებული ცვლილებების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, შესაბამისი ასაკიდან აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებული არიან და ბოლო 5 წელი მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვთ. ამასთანავე, ცვლილების თანახმად, პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს პირი 21 წლის ასაკიდან.

აღნიშნული ცვლილება კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას აძლევს. თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტს მოუწოდა მასზე ხელი არ მოეწერა, რადგან, მისი თქმით, აღნიშნული ცვლილება სახელმწიფოებრიობის და კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო ისეთი ქმედებაა, რომლის პრეცედენტიც მსოფლიოში არ არსებობს.

ნიუსპრესი

# ომბუდსმენი სასჯელაღსრულების მინისტრს რეკომენდაციით მიმართავს

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს რეკომენდაციით მიმართავს.

ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, სახალხო დამცველის წარმომადგენელი შეხვდა და გაესაუბრა 15 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბრალდებულს ს. სარდარიანს, რომელიც №18 სამკურნალო დაწესებულებაშია მოთავსებული.



სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს უზრუნველყოს ს. სარდარიანის შესაბამისი პროფილის დაწესებულებაში განთავსება, სრულწლოვანი პატიმრებისგან განცალკევებით, სადაც მისთვის ყველა საჭიროების დაკმაყოფილება იქნება შესაძლებელი.

ნიუსპრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატრიარქი სამშობლოში დაბრუნდა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სამშობლოში დაბრუნდა. უწმინდესის თვითმფრინავი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაახლოებით 18:45 საათზე დაეშვა.

პატრიარქი თანმხლებ პირებთან ერთად ჩამოვიდა. მას აეროპორტში მრევლი და სასულიერო პირები და მეუფეები დახვდნენ. ილია II აეროპორტის ტერიტორიაზე შემოსვლის შემდეგ მანქანიდან გადმოვიდა და მრევლი დალოცა.

როგორც უწმინდესმა მრევლთან საუბრისას აღნიშნა, საფრანგეთში ბევრი ქართველი ნახა და დალოცა. „საქართველოს არაფერი შეედრება. საქართველოში არის გამორჩეული მიწა და ხალხი. დაგლოცოთ უფალმა“, – მიმართა მრევლს პატრიარქმა.

ილია II აეროპორტიდან სამების ტაძარში წავიდა.

უწმინდესი საქართველოში შვედეთიდან ჩამოვიდა, სადაც მას მორიგი საპროფილაქტიკო გამოკვლევები ჩაუტარდა. მანამდე პატრიარქი საფრანგეთში იმყოფებოდა, სადაც 18 მაისს პარიზის საკონცერტო დარბაზში გამართულ „იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტს დაესწრო. კონცერტზე უწმინდესის საგალობლები შესრულდა.

ინტერპრესნიუსი

# ლეიბორისტები ცეზარ ჩოჩელს სამშობლოს ღალატში ადანაშაულებენ

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტები ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ოკუპანტ რუსებთან და ოსებთან თანამშრომლობაში ამხელენ და მთავარ პროკურატურას მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე შესაბამისი რეაგირებისკენ მოუწოდებენ.**



გუშინ პარტიის ოფისში ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის წინააღმდეგ საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაავრცელა და მაღალჩინოსანს ოკუპანტებთან თანამშრომლობაში დასდო ბრალი.

– სააკაშვილის მოღალატეობრივი რეჟიმი კრიმინალ გუბერნატორ ცეზარ

ჩოჩელის შუამავლობით აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას მის მიერვე სეპარატისტებად და ოკუპანტებად მონათლულ ცხინვალის ოსურ-რუსულ რეჟიმთან. კერძოდ, ახლახან ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების ორივე ტურში ახალგორის ყველა წამყვანი საარჩევნო კომისია დაკომპლექტებული იყო მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის მიერ მისი უახლოესი ნათესავების სახით, რომლებმაც უზრუნველყვეს გასულ არჩევნებში თიბილოვის გამარჯვება, – განაცხადა სოსო შატბერაშვილმა. მისი თქმით, ეს ადამიანები განაწილებული იყვნენ ახალგორის, ყანჩავეთის, ორჭოსანის და სხვა საარჩევნო უბნებში.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, დღემდე გუბერნატორი ახალგორში საკუთარი ქონების დაცვის მიზნით აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივებთან და საკუთარ სახლსაც კი უთმობს მაღალჩინოსან ოკუპანტებს.

– ჩოჩელმა თავის სახლში, ახალგორში, ჩაასახლა ოკუპანტთა თანამდებობის პირები ქონების ხელშეუხებლობის სანაცვლოდ. ხოლო ე.წ. ცხინვალის პარლამენტში ახალგორის მაჟორიტარ დეპუტატს, ასევე თავის ახლობელს, ვინმე გაბარაევს გადასცა 10 000 დოლარი, გამოყოფილი დევნილებისათვის საერთაშორისო გრანტებიდან, – აღნიშნა შატბერაშვილმა და გენერალური პროკურორის გასაგონად დაამატა: „თუ შეგრჩენიათ რაიმე ქართული, აღძარით სისხლის სამართლის საქმე ცეზარ ჩოჩელის მიმართ სამშობლოს ღალატის ამ აშკარად გამოკვეთილ ფაქტზე“.

რაც შეეხება იმას, თუ საიდან ფლობენ ლეიბორისტები ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციას, რომელიც გუბერნატორის მხრიდან სამშობლოს ღალატზე მიანიშნებს? – როგორც ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა განმარტა, ეს ინფორმაცია მათ თავად მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ნათესავებმა მიაწოდეს, ოღონდ იმ ნათესავებმა, რომლებიც ჩოჩელზე განაწყენებულები არიან.

– გარკვეული ნათესავებისგან, რომლებიც კარგ ურთიერთობაში არიან ცეზარ ჩოჩელთან, აკომპლექტებენ სეპარატისტთა და ოკუპანტთა საარჩევნო უბნებს. ხოლო ნათესავების ნაწილს, რომლებიც ჩოჩელზე განაწყენებული არიან, მოაქვთ ინფორმაციები ჩვენთან. ჩვენ ამ ნათესავების გვარებს ვერ დაგისახელებთ მათივე უსაფრთხოების მიზნით. იმიტომ, რომ ეს ადამიანები გადადიან ახალგორში, იქ ინარჩუნებენ თავის სახლ-კარს. იმიტომ, რომ თანამშრომლობენ სეპარატისტებთან და ამავე დროს ფლობენ კოტეჯებს მცხეთის რაიონში – წეროვანში და სხვა ადგილებში. მათი უსაფრთხოების მიზნით გვარებს ვერ გისახელებთ, თორემ სრული სია გვაქვს ცეზარ ჩოჩელის ნათესავებისა, ვისითაც დააკომპლექტეს საარჩევნო უბნები ახალგორში, – განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ჩოჩელის ნათესავები ახალგორში მუშაობენ, ხელფასებს იღებენ, აქ დევნილებად ითვლებიან და პატარ-პატარა ბიზნესსაც აკეთებენ.

– ადგილი აქვს აშკარა ღალატს, სეპარატისტებთან და ოკუპანტებთან თანამშრომლობისა ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირისა სააკაშვილის ხელისუფლების. ამიტომ მოვითხოვთ, დაიწყოს მოკვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით და აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, პირველ რიგში, თანამდებობის პირ ჩოჩელის მიმართ. ან უნდა იყო ოკუპანტების მხარეს, ან შენი სამშობლოს მხარეს. ამიტომ სისხლის სამართლის საქმე შეიძლება გუბერნატორის ნათესავების მიმართაც აღიძრას. მაგრამ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება გუბერნატორ ჩოჩელს, რომელიც არის ძალიან მაღალი თანამდებობის პირი ამ ხელისუფლებაში, – განაცხადა ბოლოს სოსო შატბერაშვილმა, რომელიც თვლის, რომ ჩოჩელმა და მისმა ნათესავებმა თავის საქციელზე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ და პასუხიც უნდა აგონ.

# „საქართველომ ილია ჭავჭავაძის და მერაბ კოსტავას გზით უნდა იაროს“

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ მოძრაობა „ეროვნულების“ გენერალურ მდივან სანდრო ბრეგაძესთან**



***– ბატონო სანდრო, რაღაც საინტერესო პროცესები დაიწყო ქართულ პოლიტიკაში. ხელისუფლებიდან გამოქცეულები ბიძინა ივანიშვილის კარზე იცდიან...***

– ეს შეუქცევადი პროცესია. საერთოდ ასე ხდება ხოლმე, როდესაც გემი იძირება, ვირთხები იწყებენ გაქცევას. მე არ მინდა არავის შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ კარგი იქნება თუ დაფიქრდებიან იმაზე, სად არიან, რას აკეთებენ და რა დანაშაულს სჩადიან. ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ქართულ ეკონომიკას, ქართულ განათლებას, კულტურას, ყველაფერს ქართულს ანგრევდნენ, რა თქმა უნდა, დრო მოვიდა გამოფხიზლდნენ და დადგნენ ჭეშმარიტების გზაზე. დღეს ჩვენ არც ერთი ქართველი არა გვყავს დასაკარგი. ჭეშმარიტების გზა კი ოპოზიციური გზაა. ეს ბუნებრივი პროცესია და მე ამას ველოდებოდი. ზვიად გამსახურდიას შემდგომ, არც ერთ ხელისუფლებაში იდეის გულისთვის ადამიანები არ ყოფილან. ისინი ყოველთვის იყვნენ პირადი გამორჩენისა და პირადი კეთილდღეობის მოწყობის მიზნით. როგორც კი ეს ადამიანები დაინახავენ, რომ მათი პირადი კეთილდღეობა შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს და ისინი უკვე ხვდებიან ამას, რომ შემოდგომაზე ეს შეუქცევადი პროცესები დასრულდება ოპოზიციის გამარჯვებით, რასაკვირველია, ისინი დაიწყებენ სხვადასხვა გუნდებში გადაბარგებას.

***– ალბათ, არც ის იქნება სწორი, მთელი ხელისუფლება ოპოზიციაში გადავიდეს და ერთი სააკაშვილი დატოვონ. მხოლოდ სააკაშვილი ანგრევს ქვეყანას?! მაშინ ამით რა შეიცვლება?***

– ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, იმ ხალხზე არ არის საუბარი, ხოლო ვინც პირადი ანგარებისთვის არის ხელისუფლებაში და შეცდომებსაც უშვებდა, ალბათ, მათ უნდა მივცეთ შანსი, რომ გააგრძელონ მუშაობა. თუმცა ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ იგივე ადამიანებმა არ უნდა მოინდომონ კვლავ ხელისუფლებაში და თანამდებობებზე ყოფნა. სწორედ მათმა დამღუპველმა პოლიტიკამ სერიოზული შედეგები გამოიღო. თუმცა, კიდევ გავიმეორებ, არც ერთი ქართველი დასაკარგი არ არის და არც ერთი ოპოზიციური ძალა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში არ უნდა მოიქცეს ისე, როგორც მოიქცნენ დღევანდელი რეჟიმის მსახურნი, როდესაც დაიწყეს დაჭერა-დაპატიმრება, ქონების ჩამორთმევა და ა. შ. ადამიანები, რომლებსაც დანაშაული არ აქვთ ჩადენილი, ისეთივე საქართველოს მოქალაქეები არიან, როგორიც მე და თქვენ.

***– განაცხადეთ, შეუქცევადი პროცესები დაიწყოო, როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ველარ შეძლებს სიტუაციის გაკონტროლებას?***

– მე ძალიან მწყდება გული ერთ რამეზე, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდა უნიკალური შანსი იმისა, რომ ის საქართველოს ისტორიაში შესულიყო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე კარგი ხელისუფლება. თქვენ გახსოვთ 2003 წელი, როდესაც ბატონ სააკაშვილს და მის გუნდს ჰქონდა იმაზე არანაკლები მხარდაჭერა, ვიდრე ზვიად გამსახურდიას. ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ადამიანმა ამხელა ნდობა, სიყვარული და მხარდაჭერა გაფანტო და მთელს საქართველოს ზურგი აქციო. ძალიან სამწუხარო მოვლენაა იმიტომ, რომ მე ნამდვილად არ მიხარია, თუნდაც ჩემთვის მიუღებელი ხელისუფალის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა. დღეს უკვე შეუქცევადია ეს პროცესი, რადგან მოსახლეობა უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. მე რომ მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი ვიყო, მას ვურჩევდი, რომ უზრუნველეყოს ხელისუფლების გადაბარება კონსტიტუციური გზით. ამით ერთი კარგი რამ მაინც გააკეთოს საქართველოში, საფუძველი დაუდოს არა რევოლუციური გზით, არამედ კონსტიტუციური გზით ხელისუფლების ცვლილებას.

***– თქვენ გჯერათ ამ ყველაფრის, რასაც ამბობთ?***

– სამწუხაროდ, არა მგონია, მას ისეთი მრჩევლები ჰყავდეს, რომ ეს ურჩიონ და ჩემი ღრმა რწმენით, ეს საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველი მოვლენაა.

***– მე მგონი სააკაშვილი არ აპირებს რაიმე შეცვალოს და დათმოს...***

– იდეალური ვარიანტია ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ხელისუფლების ცვლილება მოხდეს კონსტიტუციური გზით და ამაში მიხეილ სააკაშვილს ძალიან დიდი როლი ეკისრება. მისი გუნდის წევრებიც უნდა მიხვდნენ, რომ ეს არის მათი გადარჩენის ერთადერთი შანსი და აუცილებელია ამის გაკეთება. თუმცა, გარკვეული სკეპტიციზმი ამასთან დაკავშირებით ნამდვილად მაქვს.

***– შეძლებს ნაციონალური მოძრაობა არჩევნებამდე ერთიანობის შენარჩუნებას?***

– ბოლომდე ალბათ არ დაიშლება, რა თქმა უნდა წამომსვლელები წამოვლენ, თუმცა დარჩება გარკვეული ჯგუფი, რომელიც ბოლომდე იბრძოლებს. ამაზე ორი აზრი არ არსებობს ვინც სხვაგვარად ფიქრობს, ეს გადამეტებული ოპტიმისტური პროგნოზია. აი, არჩევნების შემდგომ კი, ნაკლები შანსია ნაციონალურმა მოძრაობამ იარსებოს.

***– როგორ ფიქრობთ, მისი უახლოესი გარემოცვაც გაწირავს სააკაშვილს?***

– სააკაშვილის გაწირვა იქნება ის, რომ მას შთააგონონ, კიდევ რამდენიმე ვადით უნდა დარჩეს სახელისუფლო სკამზე. თუ მის გარემოცვას ის უყვარს და მას პატივს სცემენ, უნდა ურჩიონ ბატონ სააკაშვილს, რომ მოახდინოს კონსტიტუციური გზით ხელისუფლების ცვლილება და გზა დაუთმონ იმ ოპოზიციურ ძალებს, რომელსაც ხალხი აირჩევს. სწორე ეს იქნება სააკაშვილისთვის კარგი რჩევა. ის ჯგუფი, რომელიც მას ხელისუფლებაში დარჩენას მოუწოდებს, ის მისი მტერი იქნება.

***– თქვენი აზრით, ჰყავს მას ისეთი გარემოცვა, რომელიც კონსტიტუციური გზით წასვლას ურჩევს?***

– რეალობა უკვე სხვაგვარია და ამბიციები ყველამ გვერდზე უნდა გადადოს. ხელისუფლების ბევრმა წარმომადგენელმა უკვე აისრულა თავისი ოცნებები. ისინი დღემდე ბავშვობის დროინდელი ოცნებებით არიან დაკავებულები. იმიტომაც არის ამდენი ფერად-ფერადი ბუშტები, შადრევნები, საქანელები, დისკოთეკები, სხვადასხვა ათასი რჯულის და გაურკვეველი წარმომავლობის ქალბატონი მომღერლების ჩამოყვანა, გრიალი და ტაშ-ფანდური. ეს არის ბავშვური ოცნებების ასრულება.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ბავშვობაში არიან დარჩენილები?***

– ბავშვურ ოცნებებს ისრულებენ. მე, მაგალითად, ბავშვობის დროინდელი ოცნებები, ბავშვობაში ავისრულე. ყმაწვილობის დროინდელი – ყმაწვილკაცობაში ავისრულე. დღეს კი შვილების აღზრდით და ოჯახით ვარ დაკავებული. ამ ადამიანებს ეტყობა, ეს არ განუცდიათ და ზუსტად ეს არის იმის მიზეზი, რომ ისინი დღესაც ბავშვური ოცნებების ასრულებით არიან დაკავებულები. საკმარისად აისრულეს ოცნებები და ეყოფათ უკვე. ახლა იმის დროა, რომ ქართველობამ თავისი ოცნება აისრულოს.

***– რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობას, 27-მა გვაჩვენა, რომ თითქოს რაღაც შეიცვალა საზოგადოების განწყობაში...***

– ამ დღემ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა და ეს იყო მართლაც სერიოზული აქცია. მე ეროვნული მოძრაობის დროიდან, თითქმის არ არსებულა მიტინგი, რომელსაც არ დავსწრებივარ და აქტიური მონაწილე არ ვყოფილვარ ამ მიტინგის და აქციის. თუმცა მე დღეს ნაკლებად მახსენდება ამ რაოდენობის ადამიანები, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ. თუკი ამის შემდგომაც ხელისუფლება არ დაფიქრდება, მაშინ სავალალო შედეგები იქნება. ყველა მიხვდა, უცხოეთის, საქართველოს დაშინებული მოსახლეობაც, რომ მდგომარეობა შეიცვალა და ეს მდგომარეობა მიდის ლოგიკურ დასასრულამდე, რასაც ქართველი ხალხის გამარჯვება ჰქვია. ამას თუ ვინმე ვერ მიხვდება, ეს მისი პრობლემა იქნება და მისთვისვე არ იქნება კარგი. სიმართლე გითხრათ, მე უფრო მეტს ვფიქრობ არა მოახლოებულ არჩევნებზე, არამედ პოსტსააკაშვილისეულ პერიოდზე და მე არ მინდა ჩვენ დაგვემართოს იგივე, რაც დაგვემართა ედუარდ შევარდნაძის დამხობის შემდგომ.

***– რას გულისხმობთ, ბატონო სანდრო?***

– მთელი საქართველო საუბრობდა იმაზე, რომ ოღონდ შევარდნაძე წავიდეს და ვინც გინდა ის მოვიდესო. ვფიქრობდით, რომ შევარდნაძეზე უარესი შეიძლება არ ყოფილიყო. თუმცა დავინახეთ, შესაძლებელი ყოფილა წასულიყო შევარდნაძე და მისი დამანგრეველი პოლიტიკის გამტარებელი სისტემა და რეჟიმი დამყარებულიყო საქართველოში. ნამდვილად არ მინდა, რომ სააკაშვილი წავიდეს და მის ადგილზე, მისი პარტიის ადგილზე მოვიდეს მოდერნიზებული, მათივე იდეოლოგიის და მათივე მრწამსის მქონე ძალები.

***– ხედავთ ამის ნიშნებს?***

– რასაკვირველია, ვხედავ. ეს ხალხი თავს ლიბერალებს უწოდებენ. ლიბერალი იყო ილია ჭავჭავაძე, ესენი კი, ყველანი არიან ნეობოლშევიკები. ლიბერალი თავისი ბუნებით და არსით არ შეიძლება იყოს დიქტატორი და არ შეიძლება იყოს ტირანიის მომხრე. ლიბერალი თავისი არსით და ბუნებით არის დემოკრატიის მომხრე და ის არის ლიბერალური ღირებულებების გამტარებელი. ესენი, ვინც თავის თავს ლიბერალებს უწოდებენ, ლიბერალების პირველი მტრები არიან და კლასიკური სახე ნეობოლშევიზმისა. ბოლშევიკები უარყოფდნენ ღმერთს – ესენიც უარყოფენ, უარყოფდნენ ყოველგვარ ტრადიციას – ესენიც უარყოფენ, უარყოფდნენ ეროვნულობას – ესენიც უარყოფენ ეროვნულობას. აბსოლუტურად იდენტური არიან 20-30-იანი წლების კომუნისტები და დღევანდელი ე.წ. ლიბერალები, რომლებსაც ლიბერალებთან საერთო არა აქვთ. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ბატონი ბიძინა მოახერხებს იმას, რომ ასეთი ადამიანები არ მოვიდნენ ხელისუფლებაში. თუმცა ასეთი ძალების მოსვლა ხელისუფლებაში აბსოლუტურად რეალურია. სწორედ ამ მიზნით, რომ დაბალანსებული იყოს ქართული პოლიტიკური სპექტრი პოსტსააკაშვილისეულ პერიოდში, დღეს იქმნება მოძრაობა „ეროვნულები“, რომელიც თავისი არსით და იდეოლოგიით გახლავთ დიდი ილია ჭავჭავაძის, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას იდეოლოგიის და იდეების გამტარებელი.

# საინგილოში ქართველებს კვლავ ავიწროებენ

გულიკო ბალაძე

ერთი კვირის წინ, როცა დავით გარეჯთან დაკავშირებით ვითარება გამწვავდა, აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი ფიქრეთ სადიხოვი აცხადებდა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ტერიტორიული დავა და ურთიერთპრეტენზიები ათწლეულების განმავლობაში არ წამოჭრილა და თავის დროზე ზაქათალას რაიონის საკითხიც ცივილურად და მშვიდობიანად გადაწყდა.

ე.ი აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა ჰერეთის საკითხი და დავით გარეჯთან დაკავშირებული პრობლემები გააიგივა, შეაპირისპირა და განაცხადა, რომ როგორც „ცივილურად დავთმეთ“ თუ ცივილურად აგვწაპნეს, საქართველოს მტრების, ბოლშევიკების მეშვეობით ჰერეთი და აზერბაიჯანს გადასცეს „ცივილურად“, ისე უნდა დავთმოთ ახლაც გარეჯის ნაწილი.

ამასთან ბატონმა სადიხოვმა მაშინ განაცხადა, რომ დავით გარეჯის მონასტერთან დაკავშირებული პრობლემა გარკვეული წრეების მიერ არის ინიცირებული. კერძოდ კი, მათ მიერ, ვისაც აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობა ხელს არ აძლევს.

რაც ყველაზე გასაკვირია, პოლიტოლოგმა ხაზგასმით თქვა, რომ „ალნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პრობლემებისა და მიზეზების ერთობლიობა საქართველოში ნაციონალისტური წრეებისა და ძალების არსებობაა, რომელთა არსებობასაც ვერ უარვყოფ“-ო.

სადიხოვი არ გამორიცხავდა ამ საკითხში სომხეთის ფაქტორსაც, რომელიც, მისი თქმით, „საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაციითა და საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების გაუარესებითაა დაინტერესებული“. . საინტერესოა, აზერბაიჯანის ხელისუფლებასაც სომხეთი აქეზებს ჰერეთში, ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალზე მოსახლე ძირძველი ქართველების წინაალმდეგ და სომხები აიძულებენ მათ შევიწროებას?

საინგილოში ხომ ქართველები ისტორიულად მუდმივად სახლობდნენ, რატომ არ აძლევენ მათ თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად ცხოვრების უფლებას, რატომ ილახება მათი უფლებები?

ჰერეთში ქართველების შევიწროება აზერბაიჯანული ნაციონალისტური ძალების არსებობასა და არაჯანსაღ და მიზანმიმართულ აქტიურობაზე არ მიუთითებს?

საქართველოში შემოსულ დიასპორებს, იმავე აზერბაიჯანელებს, თავისუფლად შეუძლიათ თავის ენაზე სწავლა, არც სახელებისა და გვარების ტარებას უკრძალავს ვინმე და არც ლოცვას თავის სარწმუნოებაზე.

საინგილოში კი ქართველებს ქართული სახელისა და გვარის ტარებას უკრძალავენ, ხურავენ ეკლესიებს.

საინგილოში რატომ ხურავენ ეკლესიებს? სჯობს ამ კითხვას გასცენ პასუხი აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგებმა იმაზე საუბარს, რომ თურმე საქართველოში ნაციონალისტური ძალები არიან და ისინი ამღვრევენ წყალს, თორემ აქამდე ცივილურად გადაწყდებოდა გარეჯის ბედიც მათ სასარგებლოდ.

გარეჯის პრობლემაც და საინგილოს მოწყვეტა საქართველოსაგან ბოლშევიკების ულმერთობისა და საბჭოთა იმპერიის ბრალია, რომელმაც დიდი ტრაგედია დაგვატეხა თავს, როცა ეს კუთხე საქართველოს ჩამოაშორა და აზერბაიჯანს გადაულოცა.

20 წელია, რაც საბჭოთა იმპერია გაცამტვერდა და ჩვენც გვაქვს უფლება, სრულიად კანონიერად საინგილოზე პრეტენზია განვაცხადოთ, თუმცა, ამას არ ვაკეთებთ.




ამ ვითარებაში ის მაინც უნდა გაკეთდეს, რომ ჰერეთელი ქართველები თავს დაჩაგრულად არ გრძნობდნენ, ან იქ ჩასულ ქართველებს ამ ისტორიული ქართული მიწიდან გაეთრიეთო არ ეძახოდნენ და შეურაცხყოფილს არ აძევებდნენ.

ადამიანის უფლებების დამცველი გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ საინგილოში ქართველების უფლებები ირღვევა. მოსახლეობა ეთნიკური დისკრიმინაციის მსხვერპლია. იქ ყოველივე ქართულს ებრძვიან — წიგნებს, ეკლესიებს, დროშებს.

ცოტა ხნის წინ ქართველი ჟურნალისტი გამოაგდეს სიტყვებით, „გაეთრიე აქედან“.

ჟურნალისტი აზერბაიჯანის უშიშროებამ დააკავა და გადაღებული მასალები წაუშალა.

გიორგი თევზაძის თქმით, ეს საკითხი მწვავედ უნდა დაისვას აზერბაიჯანული მხარის წინაშე, რათა შეწყდეს ქართველების შევიწროება საინგილოში.

*— ბატონო გიორგი, ცოტა ხნის წინ საინგილოში ჩასულ ჟურნალისტს ზურაბ დვალს პრობლემა შეექმა. მას არ მისცეს ბელაქანის ისტორიული კედლის გადაღების უფლება, გადაღება შეაწყვეტინეს, რაც გადაიღო, ისიც წაართვეს და წაუშალეს. მერე კი გამოაძევეს იქიდან. საინგილოში პრობლემები ექმნება ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. განსაკუთრებით, საქართველოდან შეტანილი ქართული წიგნების გამო და ყოველგვარი ქართულის მიმართ აქვთ გაღიზიანება. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, რა შეფასებას მისცემდით იქ არსებულ ვითარებას?*

— ქართველი ჟურნალისტი ზურაბ დვალი საინგილოში, კერძოდ კი, ბელაქანში, ბელაქანის ისტორიულ კედელს იღებდა ფილმისთვის, რომელიც შეთანხმებული იყო საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. თუმცა, როცა გადაღება დაიწყო, აზერბაიჯანელმა ჩინოვნიკებმა მათ გადაღების შეჩერება მოსთხოვეს. მიზეზი კი გახლდათ ის, რომ ჟურნალისტს ქართველი მეცნიერის წიგნი ეჭირა ხელში. ამან ძალიან გააღიზიანა აზერბაიჯანელი ჩინოვნიკები. ჟურნალისტს და მის გადამღებ ჯგუფს გადაღების შეწყვეტა მოსთხოვეს, შემდეგ აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურში წაიყვანეს. მათ გადაღებული მასალა წაუშალეს და უთხრეს: „აქედან გაეთრიეთ“-ო. მეტი შეურაცხყოფა რა გინდათ? ჩვენ ასე ვექცევით რომელიმე ერის წარმომადგენლებს? მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც ბელაქნელი ჩინოვნიკი აბასოვი საქართველოში აზერბაიჯანის ელჩს ესაუბრა. ჟურნალისტი საელჩოს შუამდგომლობით ჩავიდა გადაღებაზე. დღემდე გაუგებარია, რა ისაუბრეს ელჩმა და ჩინოვნიკმა. მიუხედავად იმისა, ჟურნალისტმა მოითხოვა ელჩთან შეხვედრა, საელჩო არ გამოხმაურებია. არც საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუკეთებია ამაზე განცხადება. სწორედ ამის გამო ხდება, რაც ხდება.

*— როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცნენ ასე აზერბაიჯანელები?*

— არ ვიცი, გაუგებარია. ქართველი ერი ტოლერანტული ერია, ჩვენ არა თუ პრობლემას ვუქმნით სხვა ერის წარმომადგენლებს, არამედ ყველა ერის წარმომადგენლებს თან გადავყვებით ხოლმე. ისტორიული ჰერეთი რატომღაც აზერბაიჯანის იურისდიქციის ქვეშ ბედის უკუღმართობით მოექცა. არაკეთილსაიმედო განწყობა აქვს როგორც სომხეთს, ასევე აზერბაიჯანს. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, თავისი ნება უნდა გამოხატოს და თავის ჩინოვნიკს მიუთითოს იმის შესახებ, რომ არ შეავიწროონ საქართველოდან ჩასული არ მარტო ჟურნალისტები, არამედ ნებისმიერი ადამიანი. საქართველოში უამრავი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მაგრამ ასეთ ბარიერებს არ ვუქმნით არა მარტო მათ, არამედ არც აზერბაიჯანიდან ჩამოსულ სტუმრებს. ცოტა ხნის წინ, საინგილოდან, კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოდან ჩვენთან შემოვიდა წერილი, რომელიც კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს პრობლემებს ეხებოდა. კერძოდ, წერილი ეხებოდა იმ ფაქტს, რომ ქართული სკოლიდან ქართული წარწერა ჩამოხსნეს.

*— საქართველოს ელჩს აზერბაიჯანში არ მიმართეს?*

— როდესაც საქართველოს ელჩი იმყოფებოდა საინგილოში, მასთან ქართველები შევიდნენ და განაცხადეს, რომ მათ ავიწროებენ, უშლიან ყოველივე ქართულად საუბარს, ქართული სახელების დარქმევას. საგარეო საქმეთა სამინისტროში რამდენჯერმე დავაყენეთ საკითხი და ბოლო პერიოდში საინგილოში ქართველების შევიწროება შეწყდა. თუმცა, დროდადრო პრობლემები მაინც იჩენს თავს.

*— კერძოდ?*

— ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია რამდენჯერმე დახურეს. ამჟამად, ისევ გახსნეს. ამაში დამნაშავეა ამ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. როგორ გგონიათ, დავით გარეჯში მესაზღვრეები თავისი ნებით დადგნენ და მონასტერში თავისით არ შეუშვეს მომლოცველები? რა თქმა უნდა, არა. ეს იყო აზერბაიჯანული მხარის გადაწყვეტილება და ჩვენი ხელისუფლების უუნარობა. მეგობრობა ორმხრივი უნდა იყოს.

*— საინგილოს მოსახლეობის შევიწროება დიდი ხანია მიმდინარეობს. იქაურ ქართველებს ავიწროებენ, საინგილოში ქართულ ენას დევნიან და ქართულ სიმბოლოებს ანადგურებენ. თქვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლება უუნაროა და იმიტომ ვერ ეხმარება ჰერეთელ ქართველებს?*

— დიახ. ინფორმაცია მაქვს, რომ საინგილოში ანადგურებენ როგორც ქართულ წიგნებს, ასევე ქართულ დროშებს. დევნიან მათ, ვისაც ქართული წიგნი და დროშა ექნება. პრობლემაა რელიგიური აღმსარებლობაც. ერთ ახალგაზრდას ეჭირა ქართული დროშა და ამის გამო ისინი დააკავეს. ახალგაზრდები შემდეგ საქართველოს საელჩოს აქტიური ჩარევით გაათავისუფლეს, მაგრამ მათ ადმინისტრაციული სასჯელი მაინც დააკისრეს.

*— ამჟამად რელიგიურ ნიადაგზე კიდევ არის ქართველების შევიწროება საინგილოში?*

— რა თქმა უნდა, საინგილოში რელიგიურ ნიადაგზე გარკვეული დაპირისპირება არსებობს. დევნიან ქართველ მრევლს და ქართულ ეკლესიებს, ქურმუხის ეკლესიიდან მამაო გამოაგდეს და ისევ საქართველოს საელჩოს აქტიური ჩარევის შემდეგ შეძლეს გაეხსნათ ქურმუხის ეკლესია. გარდა ამისა, კახში სხვა ეკლესიებიც დაკეტილია.

*— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლება აზერბაიჯანულ მხარესთან მოლაპარაკებასა და შეთანხმებას რატომ ვერ ახერხებს?*

— როგორც ჩანს, ქართული მხარე ვერ ელაპარაკება აზერბაიჯანულ მხარეს, ან, საერთოდ, არ აწუხებს იქაური ქართველების ბედი.

*— ახლახან ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას განაცხადეს, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებები ირღვევა, როგორ ფიქრობთ, არის საქართველოში ეთნიკური დისკრიმინაცია?*

— საქართველოში ეთნიკური ჯგუფების ინტერესები არ ირღვევა. თუ ვინმეს უფლებები ირღვევა, ეს არის ისევ ქართველების უფლებები. გარდა ამისა, საქართველოში ყველა ეთნიკურ ჯგუფს შეუძლია საკუთარ ენაზე ჩააბაროს გამოცდები. აზერბაიჯანელმა აზერბაიჯანულ ენაზე, სომეხმა — სომხურ ენაზე. მითხარით, რომელ ევროპულ ქვეყანაშია ასეთი პრეცედენტი? საუბარი იმაზე, რომ საქართველოში სხვა ერის უფლებები ირღვევა, სამარცხვინო და თითიდან გამოწოვილია. თუკი სამეზობლოში წყალს ამღვრევენ, ეს ერთ-ერთი მეზობლის ბრალია, ანუ თუ აზერბაიჯანული მხარე ავიწროებს საინგილოს ქართველობას, თვითნებურად იკავებს დავით გარეჯის ტერიტორიის ნაწილს, ეს საქართველოს ხელისუფლების ბრალია. სხვათა შორის, დავით გარეჯის პრობლემა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩება. თუკი საქართველო აზერბაიჯანიდან ღებულობს საწვავს იაფად, სამაგიეროდ, ჩვენ წყალს ვაწვდით აზერბაიჯანს უფასოდ.

*— საქართველოში ცხოვრობენ აზერბაიჯანში დაბადებული ქართველები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა არ აქვთ. ამ დროს მათ პრობლემა ექმნებათ როგორც განათლების თვალსაზრისით, ასევე დასაქმების თვალსაზრისითაც, როგორც საქართველოში, ისე საინგილოში.*

— ეს არის დისკრედიტაციული მიდგომა, რაც ხელისუფლების ბრალია. თუკი ერაყში მცხოვრებ ქურთს აქვს სამი ქვეყნის მოქალაქეობა, მათ შორის, საქართველოსიც, რატომ არ შეიძლება საქართველოში მცხოვრებ საინგილოელ ქართველებს ჰქონდეთ ორმაგი მოქალაქეობა, ან, საერთოდ, საქართველოს მოქალაქეობა? ფაქტი ერთია, საქართველოს მოქალაქეობა ეკუთვნის ყველა იმ ქართველს, რომელიც ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ქართულენოვანი ადამიანების უფლებები ირღვევა აზერბაიჯანში. ჩვენ მივმართავთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, შექმნას კომისია, რომელშიც შევლენ ისტორიკოსები, მეცნიერები, უფლებადამცველები., ვინც დაინტერესებულია ამ პრობლემის მოგვარებით. ასევე ამ კომისიაში უნდა შევიდნენ აზერბაიჯანული მხარის წარმომადგენლებიც, რომლებიც შეისწავლიან იმ პრობლემებს, რომელიც აწუხებს ქართველ მოსახლეობას.

# საია ბიძინა გიორგობიანის დაჯარიმებას უკანონოდ მიიჩნევს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ბიძინა გიორგობიანის დაჯარიმებას უკანონოდ მიიჩნევს. ამის შესახებ ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„როგორც ცნობილია, 2012 წლის 28 მაისს ბიძინა გიორგობიანის მიერ ააიპ „ფონდი ქომაგის“ ანგარიშზე განხორციელებული უკანონო შემოწირულობის ათმაგი ოდენობით დაჯარიმდა. მიგვაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე საქართველოს კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახური „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებს გასცდა. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ბიძინა გიორგობიანის დაჯარიმების თაობაზე უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან ჯერ კიდევ 2012 წლის 18 მაისს კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახური აცხადებდა, რომ ბიძინა გიორგობიანი ა) იყო საქართველოს ,,კონსერვატიული პარტიის,, საგარეო ურთიერთობათა მდივანი; ბ) იმავდროულად იყო პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრი და გ) ბიძინა გიორგობიანი მისივე საჯარო განცხადებებით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ქართული ოცნების“ გეგმებთან. როგორც 18 მაისის განცხადებიდან ირკვევა, იმავე დღეს, ანუ 2012 წლის 18 მაისს მონიტორინგის სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება საქველმოქმედო ფონდის „ქომაგის“ ანგარიშები დაეყადაღებინა, ფონდის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი განეხორციელებინა და ადმინისტრაციული ღონისძიებები მიელო. ალნიშნული კი იმას გულისხმობდა, რომ 2012 წლის 18 მაისს მონიტორინგის სამსახურმა საკუთარი გადაწყვეტილებით საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია ფონდი „ქომაგი“ მისი საჯაროდ განცხადებული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 261-ე მუხლით განსაზღვრული მონიტორინგის სუბიექტად ცნო, რაც ფონდი „ქომაგისათვის“ პარტიებისათვის დადგენილი შეზღუდვების გავრცელებას გულისხმობდა. თავის მხრივ, საინტერესოა ის გარემოება, რომ ბიძინა გიორგობიანი განხორციელებული ტრანზაქციის პოლიტიკურ შინაარსს გამორიცხავს და აცხადებს, რომ ის არც საქართველოს კონსერვატიული პარტიის საერთაშორისო მდივანი და არც პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრი არ არის. გიორგობიანი განმარტავს, რომ ის საქართველოს მოქალაქე არ არის და შესაბამისად, საქართველოში რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრად არ ირიცხება,, – აცხადებენ საია-ში.

ამასთან, ახალგაზრდა იურისტების განცხადებით, მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, ბიძინა გიორგობიანმა შემოწირულება 2012 წლის 10 მაისს განახორციელა, საქველმოქმედო ფონდი „ქომაგის“ ანგარიშების დაყადაღების და ფონდის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის თაობაზე გადაწყვეტილება მონიტორინგის სამსახურმა მხოლოდ 2012 წლის 18 მაისს მიიღო.

„შესაბამისად, მონიტორინგის სამსახური ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ ჯერ კიდევ 2012 წლის 10 მაისს ბიძინა გიორგობიანისთვის ცნობილი იყო ფონდი „ქომაგის“ მონიტორინგის სუბიექტად მიჩნევის და შესაბამისად, მასზე პარტიებისათვის დადგენილი შეზღუდვების გავრცელების თაობაზე. პირველი საჯარო განცხადება ფონდი „ქომაგის“ დაარსებასა და მისი საქმიანობის მიზნებთან დაკავშირებით მონიტორინგის სამსახურმა მხოლოდ 10 მაისის შემდეგ, 2012 წლის 14 მაისს გააკეთა. შესაბამისად, ბიძინა გიორგობიანისთვის შეუძლებელი იყო იმის ცოდნა, რომ 10 მაისს ის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებს არღვევდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დადგენილება ბიძინა გიორგობიანის დაჯარიმების თაობაზე არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს,, – განმარტავენ ასოციაციაში.

პირველი

# ზურაბ ზვიადაურის მეგობარი აღნიშნული „მიზეზით“ ძიუდოს ფედერაციიდან გაათავისუფლეს

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის უცხოელებთან ურთიერთობის კოორდინატორი სოფო ცირეკიძე „ქართული ოცნების“ წევრ ზურაბ ზვიადაურთან მეგობრობის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს. ამის შესახებ „პირველს“ თავად ცირეკიძემ განუცხადა:

„ფედერაციაში 2008 წლიდან ვმუშაობ და ზურაბ ზვიადაურთან ზუსტად ისეთივე მეგობრობა მაკავშირებდა და მაკავშირებს, როგორიც სხვა სპორტსმენებთან. მასთან ახლო, თბილი ურთიერთობა მაქვს და დღემდე ასე გრძელდება, მაგრამ რაც ზურამ „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანების გადაწყვეტილება მიიღო, მასთან აქტიური კონტაქტი არ მქონია, მითუმეტეს, რომ ის ნომერი, რომელზეც მე ვუკავშირდებოდი, გამორთული ჰქონდა. თუმცა ოცნებაში მისი გაწევრინების შემდეგ ფედერაციაში მომთხოვეს, რომ ისინი როგორმე ზვიადაურთან დამეკავშირებინა და ასეც მოვიქეცი, მისი დისშვილების მეშვეობით დავუკავშირდი, ამის მეტი მართლა არაფერი მომხდარა“, – განაცხადა ცირეკიძემ და აღნიშნა, რომ სამსახურიდან მისი გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად ფედერაციაში ზურაბ ზვიადაურთან სატელეფონო საუბრები დაასახელეს.

„სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად ზვიადაურთან სატელეფონო საუბრები დამისახელეს, მაგრამ რა საუბრები იყო, არ ვიცი. მე ვესაუბრებოდი ზურას, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მეგობრული საუბრები იყო, ამიტომ გაუგებარია, რა იპოვეს იქ განსაკუთრებული. მომხდართან დაკავშირებით სპორტსმენი უკვე საქმის კურსშია, ჯერ არ გადამიწყვეტია რას ვიზამ, მაგრამ „ქართულ ოცნებაში“ მისვლას არ გამოვრიცხავ“, – განმარტა ცირეკიძემ.

პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მაღალი დონის ექიმები არ ჰყავს

თამარ ნინიძე

**პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კერძო საბანკო სექტორის დატერორება გადაწყვიტა. მისი ახალი ინიციატივით საპროცენტო განაკვეთები უნდა შემცირდეს. ამ საკითხზე და ხელისუფლების სხვა პიარაქციებზე „ახალი თაობა“ „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრ ზაზა სოფრომაძეს ესაუბრა.**


ზაზა სოფრომაძე

ზაზა სოფრომაძე:

– დავეთანხმოთ სააკაშვილს იმაში, რომ მართლაც მაღალი საპროცენტო განაკვეთებია სესხის გაცემის დროს, მაგრამ სხვა რამ არის გასაკვირი და შემაშფოთებელიც, ეს არის იმპერატიული განცხადება. პრეზიდენტს არა აქვს უფლება, უშუალოდ ჩაერიოს და პირადად განსაზღვროს კომერციული სტრუქტურების, მაგალითად, ბანკების საპროცენტო განაკვეთების ოდენობა. ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ამის მიზეზია დეპოზიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები. თითქოს დეპოზიტებს სხვა აწესებდეს და არა ესა თუ ის ბანკი. ეს ყველაფერი აჩენს დიდ კითხვის ნიშნებს საზოგადოებაში. რამდენიმე წამყვანი ბანკის ტოპხელმძღვანელი პირდაპირ ასოცირებულია ხელისუფლებასთან. მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც განაპირობებს ბანკების მოგებას, დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკასთან მთლიანად და კონკრეტულად გადახდის უნარის მაჩვენებელთან, რაც არის მოსახლეობაში. 200 ათასამდე სესხის მიმღებია ქვეყანაში, რომლებიც დღეს გადახდისუუნარონი არიან, ანუ მათი ბედი პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის საბანკო სისტემასთან. ეს არ არის მცირე რიცხვი. ამაში შედიან სოფლის მეურნეობის მუშაკები, ის ადამიანები, ვინც ჰიბრიდული სიმინდისთვის აიღო კრედიტი, ამაში შედიან მინიკრედიტების მიმღებები და ა.შ. აუცილებელია, რომ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა იყოს რადიკალურად გაუმჯობესებული, თვითონ საპროცენტო განაკვეთის დაწევა არ ნიშნავს ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ მიმართულ ნაბიჯს. რაც უნდა დაბლა დაწიო საპროცენტო განაკვეთი, თუ მოსახლეობის გადახდისუნარიანობა დაბლა იწევს, ეს დისბალანსი ყოველთვის იქნება. როცა ამაზე ვსაუბრობთ, ყოველივეს მაინც ვუკავშირებთ მოახლოებულ არჩევნებს. ცხადია, რომ ასეთი ტიპის განცხადებები, რომელიც უმეტესად პოპულისტურია და არ გამომდინარეობს ობიექტური რეალობიდან, რაც ქვეყანაშია, მიმართულია ამომრჩევლის გასაგონად. ახლოვდება არჩევნები, ხელისუფლება უმძიმეს მდგომარეობაშია ბოლო დროის რეალობის გათვალისწინებით, ასეთი ტიპის გამოსვლებს ბევრს ვნახავთ. მეორე საკითხია, რამდენად რეალურია ამ ტიპის განცხადებების ასრულება და ცხოვრებაში მისი გატარება. პირადად მე პესიმისტურად ვარ განწყობილი და ეჭვი მეპარება, რომ ასეთი ტიპის მოწოდებებს მყისიერი რეაგირება მოჰყვეს საბანკო სექტორიდან იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მაინც ხელისუფლებასთან არის ასოცირებული და ასევე მოგებაც, რომელსაც ბანკები იღებენ.

*– ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკის ხელმძღვანელებს არანაირად არ აძლევთ ხელს პრეზიდენტის ეს ინიციატივა, აიტაცონ და განახორციელონ?*

– ბუნებრივია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ფაქტობრივად უკანონობაა და დემოკრატიულ პრონციპებზე საუბარი არ არის, მაშინ არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ბანკებმა გასცენ პირდაპირ დაწეული განაკვეთები. ჩვენ ვხედავთ, როგორ იჭრება ეს ხელისუფლება იმ სფეროებში, რომელშიც შეჭრა არანაირად არ შედის მის კომპეტენციაში. არ გამოვრიცხავ, ამ ტიპის ბრძანება ბანკებმა წინასაარჩევნო პერიოდში გასცენ და საბანკო სექტორმაც, რომელიც არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს, მაინც გადადგას ასეთი ნაბიჯი.

*– არჩევნებამდე პერიოდში ისევ მოსახლეობა იქნება მოტყუებული?*

– რა თქმა უნდა, დღითიდღე იკლებს მოსახლეობის გადახდისუნარიანობა, დაბლა იწევს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ხელისუფლების მონაცემებით დღითიდღე მატულობს უმწეოთა რიცხვი, რომელიც ოფიციალურად დახმარებას იღებს. ამ სესხებით ისარგებლებს მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილი, ფართო ფენები კი, ვისთვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ამ ტიპის ფინანსური ინიექციები, დახმარებების გარეშე დარჩებიან, შიში აქვთ, რომ აღებულ კრედიტს ვერ გადაიხდიან. აბსოლუტური უმრავლესობა ვერ გადაიხდის ამ სესხებს.

*– აჭარაში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა იმის გამო, რომ ადამიანები ვერ იხდიან საბანკო სესხებს.*

– ვერ იხდიან იმიტომ, რომ ეს ბათუმსა და ქობულეთში დაკავშირებულია უშუალოდ საკურორტო სექტორის განვითარებასთან. შარშან საკურორტო სეზონი ფაქტობრივად ჩავარდა იმის გამო, რომ ამ მაღალი ფასების გამო დამსვენებელი გაცილებით ნაკლები იყო წინა წლებთან შედარებით, ასეთი გაუთვალისწინებელი პრობლემები დღითიდღე მატულობს.

*– წინასაარჩევნო პერიოდში სააკაშვილი დადის რეგიონებში და ახალ საავადმყოფოებს ხსნის. ბოლოს ქუთაისში გახსნა დიდი საავადმყოფო. დაზღვევაზე მინდა გკითხოთ, რამდენად რეალურია ნაციონალების სადაზღვევო პროგრამა?*

– ჯანდაცვაში ბოლო წლების განმავლობაში ერთიანი პოლიტიკა არ არსებობს. მხოლოდ პოპულისტური გადაწყვეტილებებით იკვებება ჩვენი ჯანდაცვა. იმ საავადმყოფოში, რომელიც თქვენ ახსენეთ, მე თანაკლასელი კინალამ დამეღუპა იმიტომ, რომ მართალია გაიხსნა სტაციონარი, მაგრამ იმ პროფილში, რომლითაც სასწრაფო დახმარებამ გადაიყვანა სტაციონარში, სრული გაურკვევლობა იყო. ჯერ კიდევ გამართულიც არ არის ის ტექნიკა, რომელიც შეტანილია ახალგახსნილ სტაციონარებში და სპეციალისტების ნაკლებობასაც განიცდიან ეს დაწესებულებები. განსაკუთრებით ეს ეხება მაღალმთიან რაიონებს. ეს არის სამედიცინო განათლების რეალური პრობლემა. მაღალი დონის სპეციალისტები არიან ქვეყანაში, მაგრამ ისინი არიან სულ რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში. როცა ნერგავ მაღალი ტექნოლოგიებით სამედიცინო დაწესებულებას, იქ მაღალი საერთაშორისო დონის სპეციალისტებიც უნდა მიიყვანო.

*– ეს პირდაპირ დაკავშირებულია იმასთან, რომ სამედიცინო-საგანმანათლებლო რეფორმა უნდა განხორციელდეს.*

– რა თქმა უნდა. ეს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მთლიანი რეფორმისა. შეუძლებელია ქვეყანაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრამები უქმდებოდეს ერთ წელიწადს და მეორე წელიწადს აღდგეს. ჭიაბერაშვილი ექიმი არ არის, მაგრამ ეტყობა უთხრეს, რომ პირველადი ჯანდაცვის პროგრამა ერთ-ერთი ძირითადი ფუნდამენტური ნაწილია ჯანდაცვის სისტემის. ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა, რომ აუცილებელია პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარება ქვეყანაში. პროფილაქტიკური მედიცინა თუ არ არსებობს, ასეთ მძიმე სურათს მივიღებთ. რაც უნდა იამაყოს ხელისუფლებამ ახალი სტაციონარების გახსნით, ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე სტაციონარია დატვირთული და მომგებიანი. ისევ გადახდისუუნარობას ვუბრუნდებით.

*– ეტყობა სააკაშვილი ახლახან გაეცნო „ქართული ოცნების“ სადაზღვევო პროგრამას, რითიც ყველა ადამიანი უნდა იქნეს დაზღვეული, მანამდე სააკაშვილი საუბრობდა ყოველი მეორე ადამიანის დაზღვევაზე.*

– ამას აკადემიურ ენაზე ჰქვია მომსახურების ხელმისაწვდომობა. ამას ის კი არ უზრუნველყოფს, რომ სტაციონარები მაღალტექნოლოგიური სისტემებით იქნება აღჭურვილი, არამედ გადახდისუნარიანი იყოს მოსახლეობა. ამდენი სტაციონარის აშენების თავი თუ აქვს ქვეყანას, სადაზღვევო კომპანიებს კი არ უნდა მიუგდოს. სადაზღვევო კომპანიებთან ერთად საავადმყოფოებს პოლიცია აშენებს. ამ ყველაფერს აკონტროლებს პოლიცია. სადაზღვევო კომპანიები კი არ აშენებენ, ეს არის სრული ბლეფი. მოგებაზე როგორ უნდა გავიდეს სადაზღვევო კომპანია, უნდა გააძვიროს მომსახურების ფასი. მანკიერ წრესთან გვაქვს საქმე.

*– გამოსავალი რაშია, პოპულიზმი რომ გვერდზე გადავდოთ?*

– გამოსავალი იმაშია, რომ ნამდვილი სადაზღვევო სისტემა უნდა ავაშენოთ. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სადაზღვევო კომპანიას სახელმწიფომ მისცეს ფული და მან ააშენოს საავადმყოფოები, დააზღვიოს ადამიანი, არამედ სადაზღვევო სისტემა გამყარებული უნდა იყოს სადაზღვევო შენატანზე, ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რა მონაწილეობა აქვს მიღებული ამ სისტემაში.

## საკონსტიტუციო ცვლილებას პრეზიდენტმა ხელი მოაწერა

საკონსტიტუციო ცვლილებები 30 მაისიდან ძალაში შევიდა, რომლის თანახმად, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებსაც აქვთ. ამის შესახებ „ნიუსპრესს“ პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტში აცნობეს.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ 22 მაისს დამტკიცებული ცვლილებების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, შესაბამისი ასაკიდან აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებული არიან და ბოლო 5 წელი მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვთ. ამასთანავე, ცვლილების თანახმად, პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს პირი 21 წლის ასაკიდან.

აღნიშნული ცვლილება კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას აძლევს. თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტს მოუწოდა მას ხელი არ მოაწეროს. მისი თქმით, აღნიშნული ცვლილება სახელმწიფოებრიობის და კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო ისეთი ქმედებაა, რომლის პრეცედენტიც მსოფლიოში არ არსებობს.

ნიუსპრესი


**შპს „თბილისის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო კოლეჯი“**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**

**საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მუხლი №34 თანახმად აცხადებს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსს 2012 წლის 1 ივნისიდან 4 წლის ვადით**

**ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით**

**1. ფინანსების სპეციალობაზე**

**- 5 ვაკანსია:**

ა) სრული პროფესორი – 1.
ბ) ასოცირებული პროფესორი – 3.
გ) ასისტენტ-პროფესორი – 1.

**2. საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე – 5 ვაკანსია:**

ა) სრული პროფესორი – 1.
ბ) ასოცირებული პროფესორი – 3.
გ) ასისტენტ-პროფესორი – 1.

**3. მენეჯმენტის სპეციალობაზე**

**– 5 ვაკანსია:**

ა) სრული პროფესორი – 2.
ბ) ასოცირებული პროფესორი – 2.
გ) ასისტენტ-პროფესორი – 1.

* * *

**სხვა დისციპლინებში**

**– 6 ვაკანსია:**

ა) ასოცირებული პროფესორი (ინგლისურში) – 1.
ბ) ასოცირებული პროფესორი (ისტორიაში) – 1.
გ) ასოცირებული პროფესორი (ფილოსოფიაში) – 1.
დ) ასოცირებული პროფესორი (ფილოლოგიაში) - 1.
ე) ასოცირებული პროფესორი (სამართალმცოდნეობაში) - 1.
ვ) ასოცირებული პროფესორი (პოლიტოლოგიაში) - 1.

**საკონკურსო პირობები**

**1. კონკურსის ძირითადი პირობები:**

ა) **სრულ პროფესორად** შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) **ასოცირებულ პროფესორად** შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) **ასისტენტ-პროფესორად** შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, ან დოქტორანტი.

2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გათვალისწინებული იქნება:

ა) გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო კრებული, საცნობარო ლიტერატურა და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ბ) სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები, კონგრესები, სესიები) ორგანიზება, მონაწილეობა.

გ) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების ხელმძღვანელობა/მონაწილეობა.

დ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

1. სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების არანაკლებ ექვსი წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების არანაკლებ სამი წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, აკადემიური განათლების მესამე საფეხურის – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი ან დოქტორანტურაში სწავლის შესახებ ცნობა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სადაც ის ითვლება დოქტორანტად;

— გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებისა, სამივე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს აგრეთვე:

— ორი ფოტოსურათი;
— პირადობის მოწმობის ასლი;
— სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;
— სილაბუსები, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ ვებ-გვერდიდან: http://aleksandre.edu.ge/collage/ ან მიიღოთ კოლეჯში);
- ავტობიოგრაფია.
- განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე

საბუთების მიღება იწარმოებს 2012 წლის 2 ივნისიდან 2012 წლის 16 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე 10.00 საათიდან 17 საათამდე. მისამართზე: ალ. ყაზბეგის გამზირი 47. VI სართული.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 20 აგვისტოს.

კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება უმაღლესი საგანმანათლებლო კოლეჯის ვებ გვერდზე http://aleksandre.edu.ge/collage/.

დაინტერესებულმა პირებმა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია, შეგიძლიათ იხილოთ საგანმანათლებლო კოლეჯის ვებ-გვერდზე http://aleksandre.edu.ge/collage/ან მობრძანდეთ კოლეჯის რექტორატში (თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 47, VI სართული).

**უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია, აგრეთვე, ტელეფონის ნომრებზე: 231 18 50; 231 14 75; მობ. 593 23 99 58.**

**E-mail: temuri@aleksandre.edu.ge**

**რექტორატი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგი დოლიძე: „დავაარსოთ სოლომონ დოდაშვილის მუზეუმი!“

ეკა ირემაშვილი

**კინომცოდნე და პროფესორი გოგი დოლიძე გამოდის ინიციატივით, დაარსდეს გამორჩენილი საზოგადო მოღვაწის, სოლომონ დოდაშვილის სასკოლო სახლ-მუზეუმი. როგორც პროფესორი აცხადებს, ქართველი ერისთვის სამარცხვინოა, რომ ასეთი პიროვნების სახლ-მუზეუმი არ არსებობს, ამიტომ მისი თანამოაზრეები თანახმა არიან, სოლომონ დოდაშვილის თუნდაც სასკოლო სახლ-მუზეუმის ჩამოყალიბებაზე.**



ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა, ისევე როგორც წინა წლებში, წელსაც აღნიშნა დიდი ქართველი მამულიშვილისა და ფილოსოფოსის სოლომონ დოდაშვილის დაბადების დღე, რაც მთავარია, მისი მშობლიური სოფლის სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლაში, რომელიც მის სახელს ატარებს. ამ მიზნით სკოლას ეწვია ჩოხოსან რაინდთა დასის საგენგებო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორები გოგი დოლიძე, რევაზ ბალანჩივაძე, ჰენრი კუპრაშვილი და ელბერდ ბატიაშვილი. ამ უკანასკნელმა სხვებთან ერთად 1994 წელს ქალაქ ვიატკიდან (ყოფილი ქალაქი კიროვი) ჩამოასვენა ჩვენი სახელოვანი ფილოსოფოსის ნეშტი.

**გოგი დოლიძე, პროფესორი:**

– მოვითხოვთ, შევქმნათ სოლომონ დოდაშვილის სასკოლო სახლ-მუზეუმი და სრულიად სამართლიანადაც. სოლომონ დოდაშვილის ღვაწლი ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა 1876 წელს, როცა ხაზგასმით მიუთითა, რომ სოლომონ დოდაშვილი ჩვენი ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე და ევროპეიზმის პირველი მეკვლეა. 22 წლის ყმაწვილი იყო სოლომონ დოდაშვილი, როცა პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრებისას სადიპლომო ნაშრომი „ლოგიკა“ დაწერა და შემდეგ ეს მონოგრაფია სახელმძღვანელოდ იქცა მთელ რუსეთში. განუსაზღვრელად დიდია მისი დამსახურება ჩვენი ეროვნული ჟურნალისტიკის აღმოცენების საქმეში და ისიც სიამაყით უნდა მოვიხსენიოთ, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა მან თავის მოწაფეებზე, რომლებიც შემდგომ სახელოვანი მოღვაწენი გახდნენ ქართული კულტურისა, ესენი არიან უპირველეს ყოფლისა ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი და სხვები. ყოველივე ამის გამო ჩოხოსან რაინდთა დასმა 2008 წელს აღადგინა სახალხო დღესასწაული „სოლომონობა“. შემდგომ წელს ჯერ მხოლოდ რაიონის მასშტაბით ჩავატარეთ კონფერენცია, ხოლო 2010 წელს უკვე საქართველოს მასშტაბით ჩატარდა მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია, თემაზე „სოლომონ დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, მაგრამ ბუნებრივია დგება საკითხი, რომ შეიქმნას სოლომონ დოდაშვილის სასკოლო სახლ-მუზეუმი სწორედ მის მშობლიურ საჯარო სკოლაში, რომელიც, ვიმეორებ, მის სახელს ატარებს. მუზეუმი უპირველეს ყოვლისა მუზათა ტაძარია და არა სავალდებულო პირადი ნივთების – ჩიბუხის, სათვალის ან კოსტიუმის ადგილსამყოფელი.

*– არის სოლომონ დოდაშვილისეული რამე შემორჩენილი?*

– რა თქმა უნდა, ღვთის წყალობით შემორჩენილია მისი შრომები, არსებობს უამრავი ლიტერატურა, რომელიც შეიქმნა სოლომონ დოდაშვილის პიროვნებასა და შემოქმედებაზე და სწორედ ყოველივე ამის თავმოყრა, შენახვა და პროპაგანდა უნდა გახდეს ამ სასკოლო მუზეუმის ძირითადი საზრუნავი. რაც მთავარია, ჩვენი, ანუ უფროსების კონსულტაციით ეს საქმე უნდა ვანდოთ უშულოდ მოსწავლეებს, რომლისთვისაც ამ მუზეუმში მუშაობა ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი იქნება შემდგომ ცხოვრებაში.

*– მიაღწიეთ კონკურეტულ შეთანხმებას?*

– ჩვენ შევთანხმდით, რომ რაც კი დღემდე არსებობს ამ მხრივ, ჩვენ ჩავიტანთ სკოლაში, მთავარია იქ გამოიძებნოს სამი-ოთხი ნიჭიერი მოსწავლე თავის პედაგოგებთან ერთად და მომავალ წელს სოლომონ დოდაშვილის დაბადების დღეზე ოფიციალურად მოხდეს ამ სასკოლო მუზეუმის გახსნა. მუზეუმმა ისე უნდაააწყოს საქმე, რომ იქ მუშაობა უაღრესად პრესტიჟულად ითვლებოდეს მოსწავლეებისთვის. მათ ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ თავიანთი სახელოვანი თანამემამულით. ისიც უნდა ითქვას, რომ საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას უკვე მოველაპარაკეთ, რომ სიღნაღში მოეწყოს ერთკვირიანი გამოფენა იმ ნაწარმოებებისა, რაც დღემდე არსებობს და შესაძლებლობის ფარგლებში ქსეროასლებსაც გადავიღებთ. ჩვენი მეცნიერები მზად არიან, თავიანთი წიგნები ავტოგრაფით გაუგზავნონ მუზეუმს. ერთი სიტყვით, ყინული დაიძრა და იმედია, საერთო ძალისხმევით სოფელ მაღაროს სკოლაში ისეთი სასკოლო მუზეუმი შეიქმნება, რომელსაც მადლიერი ქართველი ხალხისგან იმსახურებს სოლომონ დოდაშვილი.

**ელბერდ ბატიაშვილი, პროფესორი:**

– უზარმაზარი პატრიოტული მნიშვნელობა აქვს სოლომონ დოდაშვილის მუზეუმის არსებობას. ამ კაცმა თავი შეწირა საქართველოს, მის ეროვნულ მიზნებს. „მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ?!“ – ეს არის სიტყვები სოლომონ დოდაშვილისა, რომლითაც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს მიმართა. სრულდება 180 წლისთავი ჩვენი ეროვანულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენიდან და ჩვენი ვალია, შესატყვისი პატივი მივაგოთ მის ორგანიზატორებს და იდეოლოგებს. მათ ილია ჭავჭავაძე „ეროვნული მოძრაობის პირველ მედროშეებს და საქართველოში ევროპეიზმის ფუძემდებლებს“ უწოდებდა. სწორედ მათ მემკვიდრეობაზე შექმნა მან თავისი „საერთო ნიადაგის“ თეორია. სოლომონ დოდაშვილი შეთქმულთა მოწოდების ავტორია. მისი სიტყვა ემოციებით და პატრიოტული სულისკვეთებით არის დამუხტული. ეს მოწოდება „ძნელბედობის“ ყველა თაობას ეხება დავითისა და თამარის „ოქროვანი ხანიდან“ დღემდე. იგი მოწოდებაა იმისკენ, რომ აღვადგინოთ „წარხდენილი ქართველთა სახელი და ქართული ზეს-წყობა“. სხვანაირად ჩვენს თავს ვერასოდეს ვერ „ვყუდნებთ ჩვენად“. ეს განსაკუთრებით გლობალიზმის ჩვენს ეპოქას ეხება. ეროვნული მემკვიდრეობის გარეშე ერს გაქრობა და გადაშენება ემუქრება. სწორედ ამ პრობლემაზე იყო საუბარი ამას წინათ სოლომონ დოდაშვილის დაბადების დღეზე მის მშობლიურ სოფელში სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში. ჩვენ წამოვაყენეთ იდეა, რომ შეიქმნას სოლომონ დოდაშვილისა და 1832 წლის შეთქმულების მუზეუმი-მემორიალი, როგორც ქიზიყში, ასევე თბილისში. სირცხვილია, რომ ეს აქამდეც არ არის გაკეთებული. გაჩნდა ასევე იდეა, რომ დაწესდეს საერთო ეროვნული დღესასწაული „სოლომონობა – სიბრძნისა და პატრიოტიზმის ზეიმი“ და რაც ყველაზე მთავარია – ჩვენი თაობების ვალია სიტყვიდან საქმედ ვაქციოთ შეთქმულთა იდეები. ასეთ განწყობას ქმნის პირადად ჩემში ერთ-ერთი დიდი ქართველი პატრიოტის გახსენება და ღმერთმა ქნას, რომ ეს განწყობა საერთო ეროვნულ კუთვნილებად იქცეს ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის მეტად რთულ და საპასუხისმგებლო გზაზე. ეს იქნება ყველაზე დიდი გარანტი ჩვენი სამომავლო გამარჯვებისა.

**ჰენრი კუპრაშვილი, პროფესორი:**

– თვითონ მნიშვნელობა სოლომონ დოდაშვილისა საქართველოს ისტორიაში, ძალიან დიდია და უზარმაზარი. მან 5 წლის განმავლობაში სრულიად ახალგაზრდამ საოცარი რაღაცები მოასწრო. სოლომონ დოდაშვილი იყო ჟურნალისტი, განმანათლებელი, ფილოსოფოსი, პედაგოგი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, უამრავი რამ გააკეთა სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილმა. მას რომ ეცოცხლა, კიდევ ბევრ რამეს მოასწრებდა. 1832 წლის შეთქმულების იდეოლოგი და მოწოდების ავტორი იყო, რესპუბლიკური წყობილების მომხრე იყო, შეთქმულების შემდეგ, რუსეთს რომ გარეკავდნენ და დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ, ფიქრობდნენ, რესპუბლიკურ წყობილებაზე, უმეტესი ნაწილი კონსტიტუციურ მონარქიაზე ფიქრობდა, რომ ყოფილიყო მეფე და პარლამენტი. სოლომონ დოდაშვილი ევროპული იდეების მქადაგებელი იყო საქართველოში. ახლა ხომ ევროპისკენ მივისწრაფით, სოლომონ დოდაშვილი ამას ჯერ კიდევ მაშინ ქადაგებდა. მიმაჩნია, რომ ძალიან უსამართლოდ არის დავიწყებული ქართველების მიერ სოლომონ დოდაშვილი. არ არის ისე ცნობილი და პოპულარული, როგორც სხვები.

*– რა არის ამის მიზეზი?*

– ის გლეხის შვილი იყო, ძირითადი ისტორია, რაც იწერებოდა, იქ თავადები ფიგურირებდნენ, იმიტომ, რომ თავადები თვითონ წერდნენ ამ ისტორიებს. სოლომონ დოდაშვილი სულ ჩრდილში იყო, თუმცა ილია ჭავჭავაძე თავს მის მემკვიდრედ აცხადებს. კომუნისტების დროს, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი რომ იყო, არც მაშინ ეხატებოდათ გულზე. მართალია, სოლომონ დოდაშვილი ხმალს არ იქნევდა, მაგრამ ის გონიერებით, ინტელექტით იყო გამორჩეული. თბილისში რომ გაიაროთ და საზოგადოებას სოლომონ დოდაშვილზე შეეკითხოთ, 20 პროცენტზე მეტს მის შესახებ არაფერი ეცოდინება. სოფელშიც რომ გავიარეთ, არანაირი ენთუზიაზმი და ინტერესი არ არის. ასეთი ადამიანი ჰყავდეს სოფელს და არანაირი ინტერესი არ იყოს, ჩემთვის ძალიან გასაკვირია. ასევე გასაკვირია, რომ არ არსებობს მისი მუზეუმი. აუცილებელია, რომ ჯერ ადგილობრივებში, სოფელში გაიღვიძოს პატრიოტულმა გრძნობამ და დააფასონ, რომ სოფელმა მაღარომ უზარმაზარი პიროვნება შვა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მუზეუმის გახსნას, ეს იქნება პატარა ნაპერწკალი, რომელიც შეიძლება შემდგომ გაღვივდეს და დიდ ცეცხლად იქცეს. საქართველომ უნდა აღიაროს სოლომონ დოდაშვილის პიროვნება და საკადრისად დააფასოს. სამწუხაროდ, სოლომონ დოდაშვილი 31 წლის ასაკში გარდაიცვალა. მიმაჩნია, რომ გოგი დოლიძე ძალიან დიდ საქმეს აკეთებს ამ თვალსაზრისით, კონფერენციები ჩაატარა, სკოლის მოსწავლეებში გამოაღვიძა ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული ვარ, როგორც კი მითხრა, გვერდზე გადავდე ყველა საქმე და გავყევი სიღნაღში.

– არსებობს მასალა სოლომონ დოდაშვილზე?

– მისი შთამომავალი არის ელბერდ ბატიაშვილი, რომელმაც დიდი საქმე გააკეთა და ჩამოასვენა საქართველოში სოლომონ დოდაშვილი. საქართველოში ასეთი ადამიანები არავის ახსოვს, მთავარია ხელისუფლებისთვის ბრძოლა, ქონების დაგროვება, თანამდებობის ხელში ჩაგდება, 80 პროცენტი დღეს ამაზეა გადასული, მაგრამ კი გაიძახიან მიყვარს სამშობლოო. სამშობლოს სიყვარული საქმით უნდა დაამტკიცო, თორემ სადღეგრძელოში ყველანი მაგრები ვართ. წიგნი გამოვეცი „5 უკვდავი ქართველი“, სადაც ელბერდ ბატიაშვილი მოხსენიებული მყავს. ასეთი ადამიანების წყალობით

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და აზტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

• მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით. შესაძლებელია განვადება. ფასი 30.000 დოლარი. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

## განცხადებები

• იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

• ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

• მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

• ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

• კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

• იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

• სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

• წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

• ნანა ქიბროწაშვილი, შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ფოტოსურათით მოგიხსნით: პათოლოგიურ სიმთვრალეს, ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებს და ქმედებებს, ეჭვიანობას, ძილში მოუსვენრობას, კოშმარულ სიზმრებს, თვითმკვლელობის სურვილს, დეპრესიას, დაძაბულობას, ოჯახურ კონფლიქტებს. მის: წერეთლის 57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი 7. მიღება 12-დან 15 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423.

• ვიგირავებ ვაკეში 2 ან 3 ოთახიან კარგად მოწყობილ ბინას. ტელ:. 298-95-47;

• შევიძენ ვაკეში 2 ან 3 ოთახიან გარემონტებულ ბინას 100 000-ის ფარგლებში. ტელ:. 294-53-20:

# ზესტაფონმა შარშანდელი წელს მოიგო

ზესტაფონი – გაგრა 3:1

თბილისი. მიხეილ მესხი.
1.000 მაყურებელი

*0:1 ჯერემია (8), 1:1 ჭანტურიშვილი (24), 2:1 წინამძღვრიშვილი (49 პენ), 3:1 ოვონიკოკო (66).*

ზესტაფონი: მამალაძე, გაგოშიძე, რობაქიძე (ფირუზაშვილი 65), თორნიკე გრიგალაშვილი, ჭანტურიშვილი, ბერაია, რაჟამაშვილი, შარიქაძე (გაჩეჩილაძე 74), ბაბუნაშვილი, წინამძღვრიშვილი (საბა ლომია 61), ოვონიკოკო

გაგრა: ბეგაშვილი, ხუციძე, ჭეიშვილი, ნადირაძე, ჯიშკარიანი, როსტიაშვილი (ლევან სეთურიძე 46), ყურულაშვილი, ხოჯაშვილი, სარდალიშვილი (ყიფიანი 46), კვანტალიანი (ერისთავი 74), ჯერემია

ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში თუ მოხდება – 2010-11 წლის სუპერთასი 2012 წელს გათამაშდა. მატჩი რომ დასრულდა, მინდორზე ბანერი გამოიტანეს, სადაც ეწერა – „საქართველოს სუპერთასი 2010-2011". არადა, სუპერთასი ყველა ქვეყანაში, რომლის ჩემპიონატიც შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით ტარდება, ზაფხულში თამაშდება.

„ზესტაფონმა" კი, ისტორიაში პირველად მოიპოვა საქართველოს სუპერთასი და ამით, კომპლექტი შეავსო – ორგზის ჩემპიონს, თასიც აქვს და სუპერთასიც.

რაც შეეხება თავად მატჩს, გუნდები ექსპერიმენტული შემადგენლობებით შეხვდნენ. ორივე გუნდში მრავლად იყვნენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ძირითად შემადგენლობაში თამაში ნატვრად ჰქონდათ გადაქცეული. გაგრელებმა ერთბაშად 6 ფეხბურთელი მოისაკლისეს, ხოლო ზესტაფონელებს, სამი დღის წინ ამავე სტადიონზე გამართულ სათასო ფინალთან შედარებით, ერთბაშად 13 ფეხბურთელი არ ჰყავდათ განაცხადში. და მაინც, „გაგრასთვის" უფრო შესამჩნევი გამოდგა დანაკლისი, ეს კლუბი „ზესტაფონის" დარად გრძელი სკამით ვერ დაიკვეხნის და იმერლებმა ტიტულითაც გაიხარეს.

მატჩის დასაწყისში გაგრელები უკეთესად გამოიყურებოდნენ. რამდენი კარგი შეტევის შემდეგ გოლის ჯერიც დადგა – მე-8 წუთზე ნიგერიელმა ჯონ ჯერემიამ „ზესტაფონის" საჯარიმოში ორი მცველი გააბითურა და კარშიც ზუსტად დაარტყა – 0:1.

საერთოდ, ეს ფეხბურთელი პირველ ტაიმში ზესტაფონელთა თავსატეხად იქცა. მისი შეჩერება იმერელ მცველებს უჭირდათ და კიდევ რამდენჯერმე მიეცა თავის გამოჩენის შანსი. თუმცა, ჯერ კარის წინ მდგომმა ფეხი ვერ დაახვედრა ბურთს, შემდეგ კი, საგოლე პოზიციაში მყოფმა კარს ააცილა.

საპასუხოდ, „ზესტაფონმა" თამაშიც გაათანაბრა და ანგარიშიც – 24-ე წუთზე, შოთა ბაბუნაშვილის დაფარული პასი საჯარიმოში ვახტანგ ჭანტურიშვილმა მიიღო, ბურთი კარგად დაამუშავა და მეკარეს ოსტატურად დაურტყა დაბალ კუთხეში – 1:1.

ტაიმის მიწურული კი უკვე მთლიანად იმერლების იყო, „გაგრამ" უკან დაიხია და მხოლოდ კონტრშეტევების იმედად დადგა. ჯერემიამ კიდევ ერთხელ გააფუჭა საგოლე შანსი და მეტი აღარც მისცემია. საპასუხოდ კი, ლევან შარიქაძისა და ბაბუნაშვილის დარტყმების შემდეგ „გაგრა" გადარჩა.

მეორე ტაიმში „ზესტაფონის" უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. იმერელი მცველები დაცვაშიც ყურადღებით თამაშობდნენ და ახალი ტიტულისკენ მიისწრაფვოდნენ. 49-ე წუთზე, „გაგრას" მეკარე გიორგი ბეგაშვილმა მასთან პირისპირ გასული ოვონიკოკო წააქცია და პენალტი რატი წინამძღვრიშვილმა აქცია გოლად. პენალტი კი მართლაც ოსტატურად შეასრულა – ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს ეხსომებათ ჩეხი ვიქტორ პანენკა და მისი თერთმეტმეტრიანი. წინამძღვრიშვილმა მეტოქის მეკარე დააწვინა და ბურთი რბილად გადაჰკიდა კარში – 2:1.

„გაგრას" მალევე შეეძლო გათანაბრება. კუთხურის შემდეგ ზესტაფონელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, რაც მეკარის შეცდომას მოჰყვა, თუმცა ამით გაგრელებმა ვერ იხეირეს და მცველებმა ხიფათი განმუხტეს.

რაც უფრო დასასრულისკენ მიიწევდა მატჩი, გუნდები ცდილობდნენ უფრო ლაღად და თვალსასეირად ეთამაშათ, მაგრამ საგოლე მომენტების გარეშე.

71-ე წუთზე საბა ლომია მცველებს დასხლტა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ თავად გატანას




უფრო უკეთეს მყოფ პოზიციაზე მყოფი აბაიომი ოვონიკოკოსთვის პასის გაკეთება ამჯობინა და ნიგერიელმა ფორვარდმაც ადვილად მოახერხა საბოლოო დარტყმის შესრულება – 3:1.

დარჩენილ დროში დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა. „ზესტაფონი" უფრო დიდხანს ფლობდა ბურთს, თუმცა, შეტევები საჯარიმოს მისადგომებთან ეფუშებოდა, „გაგრას" კი ერთი მომენტი ჰქონდა და მამალაძემ იმარჯვა.

### მატჩის შემდეგ:

გია ჭიაბრიშვილი, ზესტაფონის მწვრთნელი:

– მოხარული ვარ, რომ სუპერთასი მოვიგეთ, მაგრამ თამაშის ხარისხით, როგორც უმეტესად ხდება, უკმაყოფილო ვარ. მართალია, ექსპერიმენტული შემადგენლობა გვყავდა, თუმცა, მეტოქესაც ბევრი ფეხბურთელი აკლდა. აქვე ვიტყვი, რომ „ზესტაფონის" ამ შემადგენლობას დუბლებს არ დავარქმევ. უბრალოდ, ესენი ის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც ძირითად გუნდში ხშირად თამაშის საშუალება ვერ ეძლევათ.

*– ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებელ გეგმებზე გვითხარით.*

– 11 ივნისს შევიკრიბებით ზესტაფონში, შემდეგ კი ავსტრიაში წავალთ შეკრებაზე, სადაც ოთხ ტესტ-მატჩს ჩავატარებთ. მეტოქეები მალე გაირკვევა, თუმცა გვსურს, რომ ძლიერ გუნდებს ვეთამაშოთ. წინ ხომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები გველის.

*– ალბათ, შემადგენლობის გაძლიერებაზე იზრუნებთ.*

– აუცილებლად. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ფეხბურთელს „ზესტაფონში" ვერ გამოუვლენია თავისი შესაძლებლობები, მაგრამ შემდეგ უცხოეთში, უფრო ძლიერ ჩემპიონატში წასულა სათამაშოდ და იქ უკეთესად გამოსულა. მაგალითად, გიორგი ფოფხაძე, რომელიც შარშან „ზესტაფონში" ძირითადში იშვიათად ხვდებოდა, ავსტრიის „შტურმში" გადავიდა და მშვენიერი სეზონიც ჩაატარა. ჩვენი კლუბის პრეზიდენტი, პირიქით, თანხებს არ იშურებს და თუ ფეხბურთელი რეალურად გვჭირდება, აუცილებლად ცდილობს მის შემოყვანას. ასე რომ, გასათვალისწინებელია ბევრი რამ – ჩვენ გვსურს, რომ მხოლოდ პიარზე არ ვიყოთ დამოკიდებულნი.

*– არის შანსი, რომ უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები დაიმატოთ?*

– არის, თუმცა რატომღაც, შიდა სატრანსფერო ბაზარზე იმდენი აქტიურობა არ შეინიშნება. გვინდა, რომ ამ მხრივ მეტი ვიმუშაოთ, კარგი ახალგაზრდები მოდიან. თუმცა, დღეს რომ თქვან, ნიკა გელაშვილი „ზესტაფონში" დაბრუნდებაო, ძალიან გამიხარდება. რეალურად კი, ეს ნაკლებად შესაძლებელია.

*– გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი მიდის. შეგიძლიათ, მათი გვარები გვითხრათ?*

– გიორგი ონიანი „დილაში" მიდის. შოთა გრიგალაშვილიც მიდის, ოღონდ, ძალიან გვსურს, რომ ევროსარბიელზე მიიღოს მონაწილეობა და შემდეგ წავიდეს. თუ ამის შესაძლებლობა იქნება, ძალიან კარგი. რატი წინამძღვრიშვილი შესაძლოა წავიდეს, შესაძლოა – დარჩეს.

*– აუცილებლად დაგჭირდებათ ცენტრალური მცველისა და ფორვარდის დამატება.*

– რა თქმა უნდა. ასევე, მარცხენა მცველის, რადგან მთელი სეზონის განმავლობაში, ზაალ ელიავაზე გადაიარა დატვირთვამ. მარჯვნივ კიდევ ხდებოდა შეცვლები, რადგან ბენაშვილს შეუძლია იქ თამაში.

*– რას იტყვით იმაზე, რომ თქვენი გუნდის დაჯილდოვება არცთუ პომპეზურად მოხდა და მედლებიც არ გადმოუციათ.*

– შემიძლია ისიც ვთქვა, რომ ჩემი გუნდის თამაშიც არ იყო ლამაზი. კიდევ ვიმეორებ, ხარისხით უკმაყოფილო დავრჩი.

*– თუმცა, ეს დაჯილდოებასთან არაფერ შუაშია.*

– კარგი იქნება, ასეთ მატჩებს ტელევიზიებით გადასცემდნენ. სუპერთასია და ასეთ დროს, ყურადღებაა საჭირო. ჩვენ ყველამ ბევრი უნდა გავაკეთოთ, რათა ქართული ფეხბურთი წინ წავიყვანოთ. გაცილებით მეტია საჭირო, ვიდრე დღესაა.

# დი მარია: „ბარსელონასთან" ყველა მატჩის მოგება შეგვიძლია"

მადრიდის „რეალის" ფეხბურთელმა ანხელ დი მარიამ, მიმდინარე სეზონი დადებითად შეაფასა. არგენტინელი კმაყოფილია საკუთარი თამაშითაც და მიიჩნევს, რომ ჯერ ყველაფერი წინ არის და შესაძლებლობების სრულად გამოვლინებას „რეალში" აუცილებლად მოასწრებს.



*– „რეალთან" ერთად პრველი ლა ლიგა მოიგეთ. ალბათ ეს უდიდესი დღესასწაული იყო თქვენთვის.*

– დიახ, ნამდვლად ასეა. უკვე მეორე წელია „რეალში" ვარ და ეს გამარჯვება, დიდი საჩუქარია ჩემთვის. საოცარი შეგრძნებაა ამდენი გულშემატკივრის წინ გამარჯვება და სიხარულის მათთან ერთად გაზიარება. კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. შარშან სამეფო თასი მოვიგეთ. წელს ლა ლიგა და მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგის თასსაც დავეუფლებით.

*– როგორ ფიქრობთ, „ბარსელონას" „რეალთან" შედარებით, მეტი უპირატესობა აქვს?*

– ლა ლიგის თასის მოპოვების და „კამპ ნოუზე" „ბარსელონას" დამარცხების შემდეგ, ყველაფერი ნათელია. ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ „ბარსასთან" ყველა მატჩის მოგება შეგვიძლია. არა მგონია გუარდიოლას წასვლამ, გავლენა მოახდინოს გუნდზე, რადგან ტიტო გააგრძელებს მის საქმეს. ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედავთ და მომავალ სეზონზე ორმაგი შემართებით დავბრუნდებით.

*– იგუაინი დარჩება „რეალში"?*

– მთელი გულით მინდა დარჩეს. „რეალისთვის" ის უმნიშვნელოვანესია და ძალიან სჭირდება გუნდს. მან ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და არა მგონია დაგვტოვოს.

*– ჰკითხეთ თუ არა მას დარჩება თუ წავა?*

– არა. ეს მისი პირადულია და ასეთ დროს ჩარევა არ მიყვარს.

*– კრიშტიანუს რეკორდზე რას იტყვით?*

– რონალდუ გენიოსია. როგორც მან, ასევე მესიმ ამ სეზონზე ნამდვილი საოცრება მოახდინეს. ეს ორი ფეხბურთელი არაამქვეყნიური ნიჭის პატრონია. მათ ბადალი არ ჰყავთ.

*– თქვენთვის რონალდუს და მესის გვერდით თამაში სტიმულია?*

– რა თქმა უნდა! მე ყოველთვის გავიმეორებ, მსოფლიოში ორი საუკეთესო ფეხბურთელის გვერდით თამაში ჩემთვის დიდი სტიმულია.

*– ოქროს ბურთს ვის მისცემდით?*

– უკომენტაროდ! ორივე ვარსკვლავია. ორივე საუკეთესოა. ორივე განუმეორებელია.

*– მოურინიოზე რას იტყვით?*

– მოუ არაჩვეულებრივი ადამიანი და ნომერ პირველი მწვრთნელია. გამიმართლა მის გვერდით რომ ვარ. მან ბევრი რამე მასწავლა და მისი მადლიერი ვარ.

*– მადრიდში თავს როგორ გრძნობთ?*

– ვგრძნობ, რომ ხალხს ვუყვარვარ და მეც მიყვარს ისინი. თავ კომპორტულად გრძნობ „რეალში" და მინდა დიდხანს დავრჩე აქ.

*– ყველაზე მხიარული და ოინბაზი ვინ არის ფეხბურთელებში?*

– თითქმის ყველა, მაგრამ მარსელო არანორმალურია. მასთან და პეპესთან არ მოიწყენ.

*– თქვენი სვირინგები.*

– უკვე 11 მაქვს. ბოლო ზურგზე გავიკეთე. ვგიჟდები ტატუზე.

# ირაკლი მესხიას საქართველოს ნაკრებში თამაში სურს

პორტუგალია ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტრა უნდის მე-4 ჯგუფის მატჩებს მასპინძლობს. ჯგუფში ლიდერები მასპინძლები და უკრაინა არიან, სადაც ჩვენი თანამემამულე ირაკლი მესხია თამაშობს.



უკრაინის ნაკრებმა ისრაელსა (2:0) და ირლანდიას (3:0) დამაჯერებლად მოუგო. 19 წლის ქართველმა ნახევარმცველმა ორივეჯერ შეცვლაზე ითამაშა და მოედანზე ბოლო ნახევარი საათი დაჰყო.

დღეს უკრაინელები პორტუგალიას ხვდებიან და ჯგუფში პირველ ადგილზე მხოლოდ მოგების შემთხვევაში გადიან, რადგან ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე მასპინძლები არიან.

ეს შესავალი: გეტყვით, რომ მესხია კიევის „ობოლონში" თამაშობს, რომელიც უკრაინის პრემიერლიგიდან გავარდა და მომდევნო სეზონს ქვედა დივიზიონში გაატარებს.

თუმცა, როგორც ჩანს მესხია გუნდში დარჩენას არ აპირებს და საკმაოდ წარმატებული მატჩების შემდეგ მრავალი წინადადებითაც მიმართეს. მისი გადაბირება უკრაინის პრემიერლიგის გუნდებსაც სურთ. განსაკუთრებით დონეცკის „მეტალურგი" და მარიუპოლის „ილიჩივეცი" დაინტერესდნენ, მაგრამ ეს მოლაპარაკების სურვილის მქონე კლუბების მხოლოდ ნაწილია.

დასრულდება 19-წლამდელთა შესარჩევი ციკლი და იმედია, ირაკლი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ მესხიას ჩვენი 21-წლამდელების მთავარი მწვრთნელი, ალექსანდრე ჩივაძე დაუკავშირდა და ფეხბურთელმა მას დაუდასტურა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში სურს.

# ჩივაძემ მინსკსა და ტალინში წამსვლელები დაასახელა

საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ იმ მოთამაშეების ვინაობა დაასახელა, რომლებიც 1 ივნისს, მინსკში ბელარუსთან გასამართი ამხანაგური მატჩისთვის და 5 ივნისს, ევრო-2013-ის შესარჩევ ციკლში ესტონეთთან სტუმრად ჩასატარებელი თამაშისთვის მოემზადებიან.

**მეკარეები:** გიორგი ნადირაძე (სპარტაკი), გიორგი ბეგაშვილი (გაგრა);

**მცველები:** გიორგი ჯგერენაია (გაგრა), გივი იოსელიანი (ტორპედო), არჩილ ტვილდიანი, ნიკა კვეკვესკირი (ორივე დინამო ), სოლომონ კვირკველია (რუბინი, რუსეთი), მამუკა კობახიძე (ზესტაფონი);

**ნახევარმცველები:** გიორგი პაპავა, ლაშა პარუნაშვილი, ჯამბულ ჯიღაური (ყველა დინამო), ვაკო ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩივეცი, უკრაინა), თეიმურაზ შარაშენიძე (სპარტაკი), ლევან ყენია (უგუნდო), თორნიკე თარხნიშვილი (ტორპედო), ზაქარია ბეგლარიშვილი (ფლორა, ესტონეთი);

**თავდამსხმელები:** ლაშა ჩაფიძე (სპარტაკი), ნიკოლოზ საბანაძე (ტორპედო), დავით სხირტლაძე (ორჰუსი, დანია), ლაშა კუკავა (ბაია).

საქართველოში მყოფი ფეხბურთელები მინსკში მთავარი მწვრთნელის ასისტენტების თანხლებით ჩავლენ. ხორვატიაში მიმდინარე ელიტრაუნდის მატჩების დასრულების შემდეგ კი, ალექსანდრე ჩივაძე თავის რამდენიმე რჩეულ 19-წლამდელთან ერთად წავა ბელარუსის დედაქალაქში. გუნდს პირდაპირ მინსკში შეუერთდება ლევან ყენია.

21-წლამდელებს დანაკლისიც აქვთ – თბილისში, „ნორჩ დინამოსთან" გამართულ ტესტ-მატჩში ტრავმები მიიღეს „გაგრას" მცველმა ლაშა კალანდაძემ და პოლონური „იაგელონიას" შემტევმა ნახევარმცველმა ნიკა ძალამიძემ. შესაბამისად, ნაკრებთან ერთად მათი წასვლა გამოირიცხა.

მინსკიდან ახალგაზრდული ნაკრები ესტონეთში გაემგზავრება და იქ გააგრძელებს მომზადებას 5 ივნისის ევროშესარჩევის მატჩისთვის. გუნდს ტალინში დაემატება ესტონური „ფლორას" შემტევი ნახევარმცველი ზაქარია ბეგლარიშვილი.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ანგოლა-მაკედონია | 0:0 |
| ლიტვა-რუსეთი | 0:0 |
| ბულგარეთი-თურქეთი | 0:2 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-ვიკინგი | 3:0 |

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| სან ანტონიო-ოკლაჰომა | 120:111 |
| სერიის ანგარიში | 2:0 |

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| დელ პოტრო-როჯერ ვასელინი | 6:7;7:6;6:4;6:4 |
| ჯოკოვიჩი-კავჩიჩი | 6:0;6:4;6:4 |
| ფედერერი-უნგური | 6:3;6:2;6:7;6:3 |
| ბერერი-დევილდერი | 6:7;4:6;2:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| აზარენკა-ფიცენმაერი | 6:1;6:1 |
| სტოსური-ფალკონი | 6:1;6:4 |
| ციბულკოვა-კინგი | 6:0;6:2 |
| ჩუენი-ხოზნიაკი | 2:6;4:6 |
| ერანი-უდენი | 6:2;6:3 |
| მედინა გარიგესი-პავლოვიჩი | 6:3;6:2 |
| პეტროვა-სხეპერსი | 6:3;6:3 |
| შაფარჟოვა-მარტინეს სანჩესი | 4:6;5:7 |
| ცეტკოვსკა-იოჰანსონი | 6:7;2:6 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ფეხბურთის ფედერაციამ საპრიზო ფონდი გაანაწილა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაპირებისამებრ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბებს 2011-2012 წლების სეზონზე ნაჩვენები შედეგის მიხედვით არსებული საპრიზო ფონდი გადაუნაწილა.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული კლუბი „ზესტაფონი" აღნიშნული ტიტულის მოპოვებისათვის ფედერაციისაგან 300.000 ლარს, ხოლო ეროვნული ჩემპიონატის სპონსორი კომპანია „ევროპა-ბეთისაგან" 100.000 აშშ დოლარით დაჯილდოვდება.



უმაღლესი ლიგის მეორე ადგილოსანი გუნდი რუსთავის „მეტალურგი" სფფ-საგან 200.000 ლარს მიიღებს. მესამე ადგილზე გასულ ქუთაისის „ტორპედოს" კი, 100.000 ლარი გადაეცემა.

ფულად ჯილდოს მიიღებენ დავით ყიფიანის სახელობის თასის გამარჯვებული და ფინალისტი გუნდები. თასის მფლობელი გორის „დილა" 100.000 ლარით დაჯილდოვდება, ფინალისტი „ზესტაფონი" კი, 50.000 ლარს მიიღებს.

სფფ-ს გადაწყვეტილებით ფულადი ჯილდო გადაეცემა სუპერთასის მონაწილე გუნდებსაც. 2010-2011 წწ. სეზონის სუპერთასის მონაწილე „გაგრა" ფეხბურთის ფედერაციისაგან 20.000 ლარს, სუპერთასის მფლობელი „ზესტაფონი" კი, 30.000 ლარს მიიღებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 2011-2012 წლების სეზონის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის გასამართ სუპერთასზე საპრიზო თანხა შენარჩუნდება და გამარჯვებულისათვის 30.000, ხოლო მონაწილე გუნდისათვის 20.000 ლარი იქნება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იმედს გამოთქვამს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე და მიმდინარე სეზონში განსაკუთრებით კარგი შედეგით გამორჩეულ კლუბებს აღნიშნული ფულადი ჯილდო მათი გუნდების განვითარებასა და სამომავლო წინსვლაში დაეხმარება.

მ. ჟ.

# რეზო ჭანიშვილი 75 წლისაა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის ხელმძღვანელი რეზო ჭანიშვილი იუბილარია. ქორეოგრაფის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით 1 ივნისს ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბავშთა ანსამბლები. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის, ღვაწლმოსილი ქორეოგრაფის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორის, ღირსების ორდენის კავალერის რეზო ჭანიშვილის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი გრანდიოზულად აღინიშნება, სამი საღამო ჩატარდება და შემოსული თანხა მთლიანად ქორეოგრაფთა შემოქმედებით კავშირს გადაეცემა.



**რეზო ჭანიშვილი, ქორეოგრაფი:**

– არაფერი განსაკუთრებული არ იქნება, ჩვეულებრივი საღამო იქნება, არავითარი პომპეზურობა და გრანდიოზულობა. არ ჩამიფიქრებია რამე განსაკუთრებული და არც შემიწუხებია ჩემი მეგობრები დიდი ანსამბლებიდან, თუმცა იქნება აჭარიდან სახელმწიფო ანსამბლი და ანსამბლ „რუსთავის" მექართულეები იმუშავებენ. ძირითადში საბავშვო ანსამბლები გამოვლენ. იქნება პატარ-პატარ ჩანართები რეზო ჭანიშვილის შესახებ, ამონარიდები წერილებიდან, გამოჩენილი ადამიანების შეფასება.

*– ბავშვები რატომ აირჩიეთ, პროფესიონალები არ გერჩივნათ სცენაზე?*

– არ შევაწუხე, არ მიყვარს ხმაურიანი ღონისძიებები.

*– არც იუბილეები გიყვართ?*

– არა, არ მიყვარს, იქნება გარკვეული შემოსავალი, რომელსაც მთლიანად ქორეოგრაფიის კავშირს შევწირავ. დიდი მადლობა მერიას და კულტურის სამინისტროს, რომლებმაც დიდი დახმარება გამიწიეს. მთელი დღის განმავლობაში სამი ღონისძიება იქნება – პირველი კონცერტი დაიწყება 12 საათზე, შემდეგ სამ საათზე და ძირითადი იქნება 6 საათზე. დილის კონცერტებში მონაწილე საბავშვო ანსამბლები გარკვეულ შემოწირულობებს გაიღებენ, ის თანხა, რაც შემოვა, მთლიანად გადაეცემა ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირს. ეს მთლიანად მოხმარდება მემორიალური დაფების გამოკვრას ქალაქში, შემოქმედებითი საღამოების ჩატარებას, ჟურნალის დაფინანსებას, გაზეთის დაფინანსებას, ჩვენი კავშირის გაზეთია „საქართველოს ქორეოგარფია". მთლიანობაში ეს არის საქველმოქმედო პროექტი და ამიტომაც გადავწყვიტე ემუშავა საბავშვო ანსამბლებს.

*– მთელი საქართველოს მასშტაბით მოიწვიეთ საბავშვო ანსამბლები?*

– აჭარიდან ჩამოდის ანსამბლი, ჩემი მეგობარია ბატონი თემურ ბიბილეიშვილი ანსამბლ „ხორუმის" ხელმძღვანელი. ეს იყო საბავშო ანსამბლი, მაგრამ გაიზარდნენ და მთავრობის გადაწყვეტილებით, გახდა სახელწიფო ანსამბლი. ძირითადად მაინც თბილისში მოღვაწე ანსამბლები იქნებიან. არ მინდოდა დიდი ანსამბლების შეწუხება, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვამბობ, არ მიყვარს იუბილეები და მოვერიდე პომპეზურობას. თუმცა გარკვეული ნაწილი მობრძანდება და ჩემს საღამოს დაესწრება.

*– ბატონო რეზო, დღეს რა მდგომარეობაა ქორეოგრაფიის კავშირში?*

– ბევრი პრობლემა გვაქვს, მაგრამ ჩვენ მაინც ვმუშაობთ. არ გვაქვს საკუთარი ოფისი, ნაქირავებში ვართ, კულტურის სამინისტრო ზრუნავს, რომ როგორმე დაგვეხმაროს ამ მიმართულებით, რომ გამოინახოს რამდენიმე ოთახი. ამას საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი ნამდვილად იმსახურებს. ჩვენ ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს ვატარებთ ხოლმე შეკრებებს და ვმსჯელობთ იმ პრობლემატურ საკითხებზე, რომელიც ჩვენ წინაშე დგას. ბატონმა ფრიდონმა აღნიშნა კიდეც, თუ კავშირი ასე გააგრძელებს მოღვაწეობას და მუშაობას, ის ყველანაირად გაამართლებსო. ჩვენ მუშა ჯგუფი ვართ და არ გვაქვს უფლება, გავჩერდეთ, ამიტომ ყოველდღე ვმუშაობთ როგორც პრაქტიკული მიმართულებით, ასევე თეორიული მიმართულებით, ვატარებთ სემინარებს, თვეში ერთხელ გამოდის ჩვენი გაზეთი, ახლა ვიწყებთ ჟურნალზე მუშაობას, მემორიალურ დაფებს ვხსნით, ხსოვნის საღამოებს, საიუბილეო საღამოებს, შემოქმედებით საღამოებს ვაწყობთ. მაქსიმალურად ვცდილობთ, მოწოდების სიმაღლეზე ვიყოთ.

**თენგიზ უთმელიძე, მოცეკვავე:**

– რეზო ჭანიშვილი ერთ-ერთი გამორჩეული სახელია ქართულ ქორეგოგრაფიაში. მთელი თავისი ცხოვრება მან უძღვნა ქართულ ცეკვას. ახალგაზრდობაში ცეკვავდა, ახლა კი ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარეა. იგი ქუთაისში მოღვაწეობდა ქორეოგრაფად, შემდეგ გადმოვიდა თბილისში ყოფილ პიონერთა სასახლეში ჩამოაყალიბა ანსამბლი „მერანი". რაც მთავარია, შემდგომ მოყოლებული მეცნიერულ მოღვაწეობას ქორეოგრაფიის დარგში და საკმაო ნარკვევებიც. ძალიან ბევრი წიგნი აქვს გამოცემული, დღეს ისინი როგორც სახელმძღვანელოები, ისე ისწავლება. ბატონმა რეზომ, როგორც მეცნიერმა, მოღვაწეობა დაიწყო ახლად შექმნილ კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, რომელიც მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უნივერსიტეტად გადაკეთდა, თუმცა მერე თეატრალურმა უნივერსიტეტმა შეიერთა. იქ მუშაობდა რეზო ჭანიშვილი, ახლაც კითხულობს თეატრალურ უნივერსიტეტში ლექციებს. ის არის ფრიად განათლებული ქორეოგარფი, მისი ღვაწლი ძალიან მნიშვნელოვანია როგორც მოცეკვავის, როგორც ქორეოგრაფის და როგორც ამ დარგის მეცნიერ-მკვლევრის. ძალიან ბევრი პიროვნება აღზარდა როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. ყოველთვის იყო ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირთან ერთად, თენგიზ სუხიშვილის მოადგილე იყო, ჩემი თავმჯდომარეობის დროსაც ერთად ვიყავით, მისი რჩევები და გამოცდილება ყოველთვის დადებითად მოქმედებდა როგორც კავშირზე, ასევე ქორეოგრაფიის დარგში. მან გამოსცა წიგნი „ქართული ცეკვის სადიდებელი", რომელშიც თავმოყრილია ცნობილი ქართველი და უცხოელი პიროვნებების გამონათქვამები ქართულ ცეკვაზე. ეს წიგნი საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გამოვიდა და გამოცემაც მისი სიტყვებით იწყება. ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, მიხვდება, როგორი გენიალური ქართული ცეკვების და სიმდიდრის პატრონები ვართ. 75 წელი უსრულდება რეზოს და შეუძლია ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ რეზო ჭანიშვილმა იამაყოს თავისი განვლილი ცხოვრებით. ერთ-ერთი გამორჩეული და დაფასებული პიროვნებაა ქართულ კულტურაში და ქართულ ქორეოგრაფიაში. დიდი გულშემატკივარია ქართული ცეკვის, ქორეოგრაფიის და აქვს იმის თქმის უფლება, რომ ბევრი რამ გააკეთა ქართული ცეკვისთვის. ვულოცავ მას იუბილეს, მხნედ გამოიყურება, ფორმაშია და დიდხანს გააგრძელებს კიდევ მოღვაწეობას.

# გოგი დოლიძე: „დავაარსოთ სოლომონ დოდაშვილის მუზეუმი!"

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ვინარჩუნებთ ფესვებს, ისინი რომ არ იყვნენ, გაწყდება ეს ფესვი და დავიწყებას მიეცემა ჩვენი წარსული, თან არავის აინტერესებს და არავის ახსოვს ასეთი პიროვნებები. საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქაა და ის სულ შეცვლის ცხოვრების წესს. მომავალში წიგნი ნაკლებად ითამაშებს როლს, ინტერნეტი იქნება განათლების მიღების ძირითადი წყარო. ძალიან მინდა, რომ სოლომონ დოდაშვილზე და მისნაირ პიროვნებებზე ინფორმაცია მოხვდეს ინტერნეტში, რომ მომავალმა თაობებმა მათზე ყველაფერი იცოდნენ. ყველანაირად მზად ვარ სოლომონ დოდაშვილის მუზეუმის ჩამოყალიბებაში აქტიურად მივიღო მონაწილეობა, ხომ შეიძლება თბილისშიც იყოს მისი მუზეუმი? დავიწყოთ ჯერ მისი მშობლიური სოფლიდან და გადმოვიდეთ შემდეგ თბილისში, მერწმუნეთ, ამ კაცის დაკარგვა არაფრით შეიძლება.

**რევაზ ბალანჩივაძე, პროფესორი:**

– ქართველ ხალხს ბევრი საამაყო და სასიქადულო შვილი გაუზრდია, მაგრამ სოლომონ დოდაშვილი ერთ-ერთი გამორჩეულია მათ შორის. საკმარისია ითქვას, რომ მან 22 წლის ასაკში დაწერა ლოგიკის ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც მთელი რუსეთის იმპერიაში ისწავლებოდა, ცხადია, რუსულად. იგი სულ 31 წლისა გარდაიცვალა, აქედან ბოლო ორი წელი ჭლექით ავადმყოფი ველარ მუშაობდა, 29 წლის ასაკში დაამთავრა ყველაფერი. ამ მოკლე კომენტარში ძნელია ჩამოთვალო მისი დამსახურება მეცნიერების წინაშე. სოლომონ დოდაშვილს საუკეთესო შეფასებას აძლევდა დიდი ილია ჭავჭავაძე. სამწუხაროდ, საქართველოში ცოტამ თუ იცოდა მის შესახებ. ბატონმა გოგი დოლიძემ ფაქტიურად ახალი სიცოცხლე შესძინა მის სახელს. ჩვენ ყოველწლიურად მის დაბადების დღეზე ჩავდივართ მშობლიურ სოფელ მაღაროში, მისი სახელობის სკოლაში, ვატარებთ მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციებს, წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი ქართველი მოსწავლე ეცნობა მის სახელსა და სასიქადულო საქმეებს. ეს ბოლო ინიციატივა მისი მუზეუმის გახსნის შესახებ მისი სახელობის სკოლაში პროფესორ გოგი დოლიძის ახალი, მეტად საინტერესო ჩანაფიქრია. ჩვენ უკვე საქმეში ჩავრთეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, აწ უკვე ყოფილი ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტების დირექტორები პროფესორი ირაკლი კალანდია და პროფესორი ირაკლი იმედაძე, თსუ-ს ლოგიკოსები, ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები. გვინდა ამ სასკოლო მუზეუმს საჩუქრად გადავცეთ სოლომონ დოდაშვილის წიგნები და მასზე დაწერილი წიგნები. ბატონი გოგის მიზანია სოლომონ დოდაშვილს ყველა ქართველი მოწაფე ისევე იცნობდეს, როგორც იცნობენ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და სხვებს. ამ წუთში, რაკი იდეა ახალია, ჯერჯერობით მასალა ბევრი არ არის, მაგრამ მოძიება შეიძლება. მართალია ინსტიტუტები აღარ არის, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ საქმეს, რაღაცებს აუცილებლად მოვძებნით და საინტერესო მუზეუმი გამოვა.

# ორი ჯუჯა იუბილარია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელმა ნეკა სებისკვერაძემ.

ღონისძიების მსვლელობისას ბავშვებს საშუალება ექნებათ, დაეუფლონ სხვადასხვა პოპულარულ პროფესიებს, მონაწილეობა მიიღონ მხიარულ კონკურსებში და შეჯიბრებებში, თავისი ხელით შექმნან სახალისო ხელნაკეთობები. მათ გართობაზე იზრუნებენ კოსტიუმირებული პერესონაჟები და მხიარული ანიმატორები. ამასთან ერთად ბავშვები თამაშის გზით გაეცნობიან ბავშვთა უფლებებს. ამფითეატრში კი მათ იუბილარი ორი ჯუჯა დაელოდება.

**ვახტანგ ტატიშვილი, მომღერალი:**

– მთაწმინდის პარკში ბავშვთა საერთაშორისო დღეს ვიკრიბებით ორი ჯუჯა, ორად ორი მეგობარი და კონცერტში ვიღებთ მონაწილეობას. ჩვენ გარდა, ბევრნი არიან ბავშვები – მომღერლები, ანსამბლები, ბევრი პატარა იქნება, ჩვენ წამყვანები ვართ.

*– არ იმღერებთ?*

– რა თქმა უნდა, ვიმღერებთ ჩვენს ტრადიციულ სიმღერებს „ორად ორი მეგობარი ორი ჯუჯა ვართ, დავბერდით, მაგრამ მაინც მხნედადა ვართ". პატარებს ვუყვარვართ და ეს ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა.

*– სხვა კონცერტებიც გაქვთ?*

– ეს კონცერტი მთელი დღე იქნება, არ ვიცი, რამდენი საათი გაგრძელდება, მაგრამ ვიცით, რომ მთელი დღე იქ უდა ვიყოთ, ამიტომ სხვა კონცერტები არ დაგვიგეგმავს. ბავშვების ჟრიამულს მიჩვეული ვარ და მათთან ყოფნაც მიხარია. მართალია, ყველა ბავში სხვადასხვანაირია, მაგრამ ყველა პატარა საყვარელია.

*– შვილიშვილებს წაიყვანთ კონცერტზე?*

– ზოგი მეუბნება, წამიყვანეო, ზოგი დიდია და არ უნდათ წამოსვლა. პატარები მეხვეწებიან, წამოვალთო. არ დაიღლები, იქნები მთელი დღე იქ-მეთქი და კიო. ვნახოთ, როგორ იქნება, ამინდსაც აქვს მნიშვნელობა.

*– თუ წვიმა იქნა, გადადებთ კონცერტს?*

– არა, კონცერტი ყველა ვარიანტში ჩატარდება. ბავშვთა დღეა და რაღა მაშინ იქნება წვიმა. მოკლედ, კონცერტს წავიყვანთ მე და ნუგზარ კვაშალი – ორი ჯუჯა და ჩვენთან ერთად იქნებიან ბავშვები – მომღერლები და ანსამბლები ცეკვის, სიმღერის, სიცილის და კისკისი. რამდენი მონაწილეა, არ ვიცი, დავალაგებთ პროგრამას და ისე გამოვიყვანთ პატარებს.

*– რეპეტიციები გაიარეთ?*

– ჩვენ რად გვინდა რეპეტიციები, რეპეტიცია უნდა გაიარონ იმათ, ვინც გამოდის. ჩვენ რა რეპეტიცია გვინდა, დაზეპირებული გვაქვს ყველა სიმღერა, ახლა კი პატარებთან შესახვედრად ვემზადებით.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი ავსტრალიაში; 2. ატომგულის შემადგენელი დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი; 3. თანამედროვე ქართველი მწერალი; 4. ქართული ხალხური ცეკვა; 5. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის, ცხოველის დაავადება; 9. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 10. იტალიური ლიქიორი; 14. იტალიის არმიის ელიტარული, ქვეითი ნაწილების ჯარისკაცი; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 16. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 19. არგენტინელი მწერალი; 20. ნიადაგის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 21. დაქირავებული მკვლელი.

**თარაზულად:** 6. ბოტანიკური ბაღის ნაწილი; 7. ტვინის შერყევა; 8. აკრობატული სპორტული იარაღი; 11. საჭმლის სანელებელ სუნელთა ერთობლიობა; 12. გარითმული აფორიზმი; 13. მონასტერი ქსნის ხეობაში; 17. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 18. ერთკუზიანი აქლემი; 22. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. ჯაშუში, დამსმენი; 25. გემის სრული მტვირთმზიდაობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ინიესტა; 2. ხარატი; 3. კულინარია; 4. თუთუნი; 5. ჰელსინკი; 7. იაკი; 11. სპეტაკი; 13. მატროსი; 15. გენუა; 16. „მედეა"; 18. რიტმი; 19. ტესტი.

**თარაზულად:** 6. „ნიმიცი"; 8. თაფლუჭი; 9. თროთვილი; 10. სუფიქსი; 12. გინზა; 14. „მითანა"; 17. ინტერნეტი; 20. ტრაპეზი; 21. ჩუვაჩი; 22. მოსტრა; 23. გარდნერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაბუინი; 2. ავოკადო; 3. ინტერნეტი; 4. ლეგატი; 5. ღილინი; 9. მოპსი; 10. ენისელი; 14. სპირიჩუელი; 15. ტაქსოფონი; 16. კუკავა; 19. აპლომბი; 20. „მასინე"; 21. ფრახტი.

**თარაზულად:** 6. მაჭავარიანი; 7. ლუტეცია; 8. სუდოკუ; 11. „ბოლტონი"; 12. ადანი; 13. ჰელიოსი; 17. ბატერფლაი; 18. ტიურინგია; 22. ცანგალა; 23. ვერსაჩე; 24. „აბსოლუტი"; 25. სიგარეტი.

# იულია ტიმოშენკოსათვის მკვლელობის ახალი ბრალდება მზადაა

უკრაინის ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს გენპროკურატურა უახლოეს მომავალში ბრალს უკრაინის უმაღლესი რადის ყოფილი დეპუტატის ევგენი შებანის მკვლელობის ორგანიზებაში თანამონაწილეობის შესახებ წაუყენებს. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ტიმოშენკო გამოჯანმრთელდება. ბრალის წაყენების სავარაუდო თარიღად გამოძიება ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისს ასახელებს. ინფორმაციას ამის შესახებ „კომერსანტ-უკრაინა" ავრცელებს, უკრაინის გენპროკურატურაში არსებულ მაღალჩინოსან წყაროზე დაყრდნობით.



გამოცემის ინფორმაციით, გამოძიებას აქვს უტყუარი მტკიცებულებები იმისა, რომ ტიმოშენკო ყოფილი დეპუტატის მკვლელობის ორგანიზებაშია გარეული.

თავად ტიმოშენკოს მომხრეები გენპროკურატურის განცხადებებს აბსურდულს უწოდებენ.

უმაღლესი რადის ყოფილი დეპუტატი ევგენი შებანი 1996 წელს დონეცკის აეროპორტში მოკლეს.

შეგახსენებთ, რომ იულია ტიმოშენკოს ამ დღეებში მამამთილის, გენადი ტიმოშენკოს დაკრძალვაზე დასწრების უფლება არ მისცეს. ამის შესახებ ინფორმაცია უკრაინულმა მედიამ გაავრცელა.

როგორც უკრაინის პენიტენციურ სამსახურში განმარტეს, ტიმოშენკომ ადმინისტრაციას რამდენიმე საათით გათავისუფლების თხოვნით წერილობით მიმართა, თუმცა მის თხოვნაზე უარის თქმა იმის გამო მოუწიათ, რომ ასეთ შემთხვევაში ნებართვის გაცემა კანონს ეწინააღმდეგებოდა.

– კანონის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ახლო ნათესავებად ითვლებიან – ქმარი, მშობლები, შვილები, შვილობილი, მშვილებელი, დედმამიშვილი, ბებია, ბაბუა და შვილიშვილები, – განმარტეს ციხის ადმინისტრაციაში.

უკრაინის ექსპრემიერი, იულია ტიმოშენკო 2009 წლის ოქტომბერში დააკავეს. მას ბრალად რუსეთთან გაზის ხელშეკრულების დადებისას უფლებამოსილების გადამეტებაში და ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანო ხელშეკრულების გაფორმებაში დასდეს ბრალი. სასამართლომ ყოფილ პრემიერს 7 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

# მიტ რომნი აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი მიტ რომნი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა.

„ბი-ბი-სის" ცნობით, მან პრაიმერლიზში რესპუბლიკური პარტიის დელეგატების ხმების უმრავლესობა დაიმსახურა და აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა.

რომნის 1144 ხმის მოგროვება სჭირდებოდა და ხმების ეს საჭირო რაოდენობა ტეხასში გამარჯვების შემდეგ დააგროვა.

– მე მეამაყება, რომ ამერიკელები მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩემს კანდიდატურას უჭერენ მხარს. მე უკვე ვფლობ იმდენ დელეგატს, რათა 2012 წლის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი გავხდე. ჩვენი პარტია ერთიანდება, რათა გამოვასწოროთ ის მარცხი, რასაც ქვეყანა ამ უკანასკნელი სამ ნახევარი წლის განმავლობაში განიცდის. ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ წინ წინააღმდეგობები არ შეგვხვდება, თუმცა, რა გამოწვევების წინაშეც არ უნდა ვიყოთ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამერიკა კვლავ განვითარებისა და კეთილდღეობის გზას დავუბრუნოთ, – განაცხადა რომნიმ.



ოფიციალურად, რომნის, კანდიდატად ფლორიდაში, აგვისტოში რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე დაასახელებენ.

რომნი მორმონების ისტორიაში აშშ-ის პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი იქნება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 6 ნოემბერს გაიმართება. მიტ რომნის მოწინააღმდეგე აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი, ბარაქ ობამა იქნება.

რომნიმ საკუთარი წინასაარჩევნო კამპანია გასული წლის ივნისში დაიწყო, მაშინ ნიუ ჰემპშირში შეკრებილ მხარდამჭერებს მან განუცხადა: „ბარაკ ობამამ ამერიკა დაასუსტა. პრეზიდენტობის პირველივე დღიდან ჩემი ნომერ პირველი ამოცანა იქნება იმის მიღწევა, რომ ამერიკა სამუშაო ადგილების შექმნაში კვლავ პირველ ადგილზე იყოს, - ასეთ დაპირებებს იძლეოდა მით რომნი.

უილარდ მიტ რომნი (დ. 12 მარტი 1947) – ამერიკელი ბიზნესმენი და პოლიტიკოსი. მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორი 2003-2007 წლებში. აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი 2012 წლის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიიდან. მიჩიგანის შტატის ყოფილი გუბერნატორის ჯორჯ რომნის ვაჟი. უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი (მორმონი).

# რუსეთი კარგავს „დერჟავის" იმიჯს მსოფლიოში

ბრიტანული პრესის ვარაუდით, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა არ შეიცვალა თავისი პოზიცია და გააგრძელა სირიის პრეზიდენტის, რომელიც თავის მოქალაქეებს ხოცავს, მხარდაჭერა, მაშინ მსოფლიომ უნდა გადახედოს რუსეთის როლს თანამედროვე მსოფლიოში. ჯგუფი „ჯი პლუს 1" არ გახდება „დიდი რვიანი", სანამ რუსეთი არ დაიწყებს ქმედებას, როგორც მომწიფებულ დემოკრატიულ ქვეყანას შეეფერება.




„ფაინეშლ ტაიმსის" აზრით, რუსეთი სულ უფრო და უფრო კარგავს „ძლიერი დერჟავის" იმიჯს მსოფლიოში, როდესაც ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ ოპოზიციის საპროტესტო მიტინგები დასავლეთის შპიონების მიერაა მხარდაჭერილი, როდესაც ქვეყნის პირველი პირი აცხადებს, რომ მხოლოდ იმიტომ არ წავიდა კემ-დევიდში გამართულ „დიდი რვიანის" შეხვედრაზე, რომ მთავრობის ფორმირება ჰქონდა მოსაგვარებელი და კიდევ იმიტომაც კარგავს იმიჯს, რომ აგრძელებს სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ასადის მხარდაჭერას, რომელსაც ქალაქ ჰულაში განხორციელებული სისხლიანი ტერაქტისთვის მთელმა მსოფლიომ პროტესტი გამოუცხადა.

# სირიაში მასობრივი მკვლელობის ახალი ფაქტი დაფიქსირდა

სირიაში არსებული გაეროს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა გენერალ-მაიორმა რობერტ მუდმა ქვეყანაში ადამიანების ძალადობრივად დაღუპვის ახალი ფაქტის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. ინფორმაციას ამის შესახებ „ფრანს-პრესი" ავრცელებს.

გენერლის თქმით, წუხელ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე პროვინცია დეირ-ეზ-ზორში 13 ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს.

– ყველა მათგანს უკან ხელები ჰქონდა შეკრული. ზოგი მათგანი, ყველაფრიდან ჩანს, რომ თავში გასროლით მოკლეს ახლო მანძილიდან, – აცხადებს გენერალი.

მისივე თქმით, ის ძალიან შეშფოთებულია ამ „სიმხეცით და უპატიებელი მოქმედებებით".

აღსანიშნავია, რომ ორი დღის წინ სირიის მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დეირ-ეზ-ზორში უცნობი პირების მიერ გატაცებული იყო სირიის ნავთობის კომპანიის „ალ-ფურატის" წარმომადგენლები. ჯერჯერობით უცნობია, არის თუ არა კავშირი ამ ორ ფაქტს შორის.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ სირიის ქალაქ ხულაში ასზე მეტი ადამიანი დახვრიტეს, რომელთა შორის ათეულობით ბავშვი იყო. ამ მოვლენებმა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მძაფრი რეაქცია გამოიწვია. სირიელი დიპლომატები ერთმანეთის მიყოლებით გააძევეს აშშ-მ, ესპანეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, კანადამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, იაპონიამ და სხვა ქვეყნებმა.

მოსკოვი მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნიდან სირიელი ელჩებისა და დიპლომატების გამოძევებით უკმაყოფილოა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებით, რიგი სახელმწიფოებიდან სირიელი დიპლომატების გამოყრა კონტრპროდუქტიული ნაბიჯია და სირიაში კრიზისის დარეგულირებას ხელს არ უწყობს.

– წამყვანი დასავლური სახელმწიფოებიდან სირიის ელჩების გაძევება ჩვენ კონტრპროდუქტიულ ნაბიჯად მიგვაჩნია, – განაცხადა ლუკაშევიჩმა პრესკონფერენციაზე.

გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი სირიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარებას არ გამორიცხავს. ამის შესახებ ოლანდმა „ფრანს ორის" ეთერში განაცხადა.

ოლანდმა აღნიშნა, რომ სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო იქნება გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების – რუსეთისა და ჩინეთის თანხმობა.

თუმცა, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ უნდა მოიძებნოს გამოსავალი, რომელიც „სავალდებულო არაა იყოს საკითხის სამხედრო გზით გადაწყვეტა".

– ამიტომაც, დღეიდან, აუცილებელია ზეწოლა, რათა გავყაროთ ბაშარ ასადის რეჟიმი. ჩვენ გვჭირდება სხვა გადაწყვეტილება. ივნისის დასაწყისში სირიის მეგობართა კონფერენციას მოვიწვევ, – განაცხადა ოლანდმა.

შეგახსენებთ, რომ გაეროს მონაცემებით სირიაში მიმდინარე დაპირისპირების დროს დაღუპულია ათი ათასზე მეტი ადამიანი.

რუსეთმა და ჩინეთმა ორჯერ ვეტო დაადეს სირიის საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას.

# 40 დაღესტნელი აზერბაიჯანში „ევროვიზიის" ჩაშლას ცდილობდა

აზერბაიჯანის უშიშროების სამინისტროს ცნობით, დაკავებულია 40 ექჭმიტანილი, რომელიც „ევროვიზიის" კონკურსის დროს ტერორისტული აქტების მოწყობას ცდილობდა. დაკავებულები რუს დაღესტნელებთან იყვნენ დაკავშირებულნი.



სამინისტროს პრესცენტრის ინფორმაციით, ინფორმაცია არ გახმაურებულა იმიტომ, რომ შეეცადნენ კონკურსის ატმოსფერო არ დაერღვიათ.

ასევე გავრცელებული ინფორმაციით, ტერორისტული დაჯგუფება გეგმავდა სასტუმრობში „ჰილტონ ბაქოში" და „მარიოტ ოტელ აბშერონში" აფეთქებების მოწყობას. ამ სასტუმროებში ძირითადად ევროვიზიისთვის ჩამოსული სტუმრები იმყოფებიან.

გამოძიების მტკიცებით, ტერორისტები კარგად მომზადებულები იყვნენ, ისინი რუსეთის ტერიტორიებიდან გადმოვიდნენ. გამოძიების შედეგად ცნობილი ხდება, რომ ტერორისტები 2011 წლის „ემირების საბჭოს" შეხვედრებზე იმყოფებოდნენ, რომელიც დაღესტანში იმართებოდა. დაჯგუფების სამი წევრიდან ორი მოკლულია, ხოლო ერთ-ერთმა მიმალვა მოახერხა.

შეგახსენებთ, „ევროვიზიის" კონკურსი ბაქოში 22-24 მაისს გაიმართა, მასში მონაწილეობას 26 ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ. „ევროვიზია" 2012-ის გამარჯვებული შვედი მომღერალი ლორენი გახდა.

# საბერძნეთი ევროზონას 18 ივნისს დატოვებს

საბერძნეთი ევროზონას საპარლამენტო არჩევნების მეორე დღეს, 18 ივნისს დატოვებს. ამის შესახებ „ინტეგრალ ასეტ მენეჯმენტის" აქტივების მართვის დირექტორმა ნიკ დიუპერსტმა განაცხადა.

– 17 ივნისს პასუხი გაეცემა კითხვას, ითამაშებენ თუ არა ბერძნები თამაშს პატიოსანი წესებით, – აღნიშნა მან.

როგორც საბერძნეთის ცენტრალური ბანკის მოხსენებაშია ნათქვამი, თუ ქვეყანა ევროზონიდან გავა, მოსახლეობის შემოსავალი ორჯერ შემცირდება, ხოლო ფული 2/3-ით გაუფასურდება. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, ინფლაციის მაჩვენებელი წელიწადში 30%-მდე გაიზრდება.

ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ საბერძნეთის მიერ ევროზე უარის თქმას თავისი დადებითი მხარეც გააჩნია – ქვეყანაში პროდუქცია და მომსახურება გაიაფდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ექსპორტი და ტურიზმი კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი გახდება.

ცნობისთვის, ევროზონა, ასევე ევროსისტემა ან ევროლენდი – რეგიონი, რომელიც მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

2007 წლისთვის ევროზონაში შემდეგი ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. შემდეგი ქვეყნები ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ევროს მონეტების გამოშვების უფლება აქვთ: ვატიკანი, სან-მარინო, მონაკო. 2008 წლის 1 იანვარს ევროზონაში შევიდნენ კვიპროსი და მალტა. 2009 წლის 1 იანვარს ევროზონას შეუერთდა სლოვაკეთი, ხოლო 2011 წლის 1 იანვარს – ესტონეთი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## TV

ხუთშაბათი
31 მაისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 ევროპული არჩევანი 13.45 აღმოაჩინე საქართველო 14.15 დოკ. ფ.„რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა„ 15.00 სერ. „დეტექტივი„ 17.00 პირველი ტელევიზია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „ტაქსისტი„ 21.00 სერ. „დეტექტივი„ 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 ტოკ-შოუ „არენა„ 00.00 სი ბემოლი 01.00 მხ.ფ.„ჩინური უბანი„ (12) 03.35 საფარი. 04.05 მხ. ფილმი „ფრენკი და ჯონი„ (15) (ა. პაჩინო)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 16.00 დოკ. ფილმი 16.45 სერ. „არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის„ 20.00 მხ.ფ.„საზღვრებს მიღმა„ 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი „საზღვრებს მიღმა„ (ა. ჯოლი)

რეალ TV 08.00, 01.00, 03.30, 05.30 დღის ამბები, კოლაჟი 08.30, 01.15 დღის რეცეპტი 09.30, 10.00, 12.00, 13.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 21.00 საინფ. გამოშვება „დღის ამბები„ 11.00 ფარული კამერა 11.30, 20.00 ექიმის საათი 13.30, 21.30 დოკ. ფილმი „ჯენის ჯოპლინი„ 2 სერ. 14.00, 03.45 დღის სტუმარი 17.00 მხ. ფილმი „ეპიდემია„ 23.00 მხ. ფილმი „ბორნის ულტიმატუმი„

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 დღის შოუ 14.40 100 გრადუსი (გან.) 17.40 სერ. „მეწამული ცა„ 18.40 სერ. „შურისძიების სახელით„ 21.00 სერ. „მემკვიდრეები„ 22.00 სერ. „შუა ქალაქში 3„ 23.00 „მან სან კანის„ ჩემპიონთა ლიგა 00.30 თბილისი ლაივი 01.55 მხ. ფ. „სასიყვარულო კერძები„ (15) (პ. კრუზი) 03.30 მხ. ფილმი „მაჩ პოინტი„ (15) (ს. იოხანსონი) 06.30 სერ. „შურისძიების საფასური„

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. „დედის გული„ 11.00 სერ. „კლონი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 კომედი შოუ 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50 სერ.„ველური ყვავილი„ 22.00 პროფილი 23.30 შიშის ფაქტორი 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „მარია ემილია„ 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ.„მისი სულის მუსიკა„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი (გან.) 16.00 იცხოვრე ფეხბურთით 17.10 სერ. „ველური მთვარე„ 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე„ 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20:30, 22.30, 01.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ.„სკოლის მეგობრები„ 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „ქალი გაიცნობს„ 12.50, 19.35 სერ. „ქალი კამელიებით„ 13.50 სცენა 15.15 სერ.„სკოლის მეგობრები„ 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ. ფილმი „მღერის ჰამლეთ გონაშვილი„ 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.15 მხ. ფილმი „ქალაქი ანარა„. 13.20 კონცერტი. 15.05, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი „მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად„ 15.55 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 16.20 მხ. ფილმი „პრემიერა„ 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 18.20 აქტუალური თემა. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი „თეთრი ქარავანი„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ერთსულოვნების სალონი 22.20 ამაღლება. 22.35, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 სალამოს ლოცვა 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 მხ. ფილმი „ზოროს ნიღაბი„ 2 ნაწ.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6219 |
| ევრო | 2,0582 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5626 |
| რუსული რუბლი | 0,0549 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 10-14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 8-10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-23, ღამით — 7-9

ამინდის პროგნოზი 31 მაისისთვის





# 8 მაისიდან გაზეთ „ახალ თაობასთან" ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო" მეოთხე ტომი

# მასონები




გამოსულია:

პირველი ტომი ტირანები



მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი




მესამე ტომი კანიბალიზმის ისტორია




გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# 28 მაისიდან „ახალ თაობასთან" ერთად

## ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

მეორე ტომი

ფასი 6 ლარი


## ასტროპროგნოზი 31 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – თქვენი საქმე წინ მიდის, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – ზედმეტად ნუ შეიწუხებთ თავს, დაე, სხვებმაც იმუშაონ. **კირჩხიბი** – ახალ სიმაღლეს დაიპყრობთ, წარმატება მოვა. **ლომი** – წარმატება დიდია, მაგრამ მაინც არ ღირს ამაზე ყველასთან საუბარი. **ქალწული** – პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ, მეგობრები დაგეხმარებიან. **სასწორი** – ზარმაცობთ, თავს შეუძახეთ. **მორიელი** – ახალი შემოთავაზება საინტერესოა, იფიქრეთ ამაზე. **მშვილდოსანი** – ცხოვრება გეცვლებათ და ეს გახარებთ. **თხის რქა** – ფული გაქვთ, მალე სანუკვარი ოცნება აგისრულდებათ. **მერწყული** – თქვენს ცხოვრებაში რაღაც ისეთი მოხდება, რაც ძალიან გაგახარებთ. **თევზები** – დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ, სად გეჩქარებათ?

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

შვეულად: 1. მდინარე უკრაინა-მოლდავეთის საზღვარზე; 2. ბელგიური ავიაკომპანია; 3. ექიმის სპეციალობა; 4. დიდი თაგვი; 5. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 7. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 11. კინოაპარატის გამომგონებელი ფრანგი ძმების გვარი; 13. წინასწარი, მიახლოებითი აზრი რაიმეს შესახებ; 15. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 18. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 19. ფულის ერთეული პაკისტანში.

თარაზულად: 6. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 8. კარაქის შესადღვები, ხის პრიმიტიული ხელსაწყო; 9. სომეხი მღვდელი; 10. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 12. პირველი გერმანული ოპერა; 14. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 17. სანატორიუმის ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილი ბილიკი სამკურნალო სიარულისთვის; 20. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული საშობაო კერძი ბრიტანეთში; 21. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 22. ვიწრო გასასვლელი, ძნელად მისადგომი ადგილები ჭაობში, მთებში, ტყეში; 23. ფუტკრის სკის შავი ცვილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



# ქართველებმა ვოლგა გადალახეს

**გეხსომებათ, ქართველ ფეხბურთელებს ლაშა სალუქვაძესა და გოგიტა გოგუას რუსულ კლუბ ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგასთან" დავა ჰქონდათ. „ვოლგამ" ქართველ ფეხბურთელებს საბანკო ანგარიშები დაუბლოკა და მათ საერთო იურისდიქციის სასამართლოში უჩივლა.**

ამის გამო რუსეთის საფეხბურთო კავშირის ფეხბურთელთა ტრანსფერებისა და სტატუსის „ვოლგას" ახალი მოთამაშეების რეგისტრაცია აუკრძალა. ინფორმაცია რუსეთის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდმა გაავრცელა.

– გაუქმდეს დავების გადაწყვეტის პალატის გადაწყვეტილება „ვოლგასა" და ფეხბურთელებს, სალუქვაძესა და გოგუას დავასთან დაკავშირებით, ხოლო საქმე ახლიდან განსახილველად გადაეცეს რუსეთის საფეხბურთო კავშირის დავათა გადაწყვეტის პალატას. „ვოლგას" დაეკისროს სანქცია ახალი ფეხბურთელების რეგისტრაციაზე ერთი სარეგისტრაციო პერიოდის განმავლობაში, რადგან საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიმართა, – ნათქვამია საფეხბურთო კავშირის განცხადებაში.



მ. ჟ.

# ორი ჯუჯა იუბილარია

ეკა ირემაშვილი

ყველა პატარასთვის და არა მარტო მათთვის საყვარელი ორი ჯუჯა – ვახტანგ ტატიშვილი და ნუგზარ კვაშალი იუბილარები არიან. ვახტანგ ტატიშვილს 24 ნოემბერს 70 წეული შეუსრულდება, ნუგზარ კვაშალმა კი 60 წლის იუბილე 15 იანვარს იზეიმა.

ამჯერად იუბილარი ჯუჯები 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მთაწმინდის პარკის ამფითეატრში პატარებს ეპატიჟებიან. ორი ჯუჯას კონცერტს მისმა ორგანიზატორებმა „ორი ჯუჯა და მათი პატარა მეგობრები" უწოდეს. როგორც ერთ-ერთმა ჯუჯამ ვახტანგ ტატიშვილმა გვითხრა, ეს იქნება ყველაზე მხიარული, ყველაზე მუსიკალური და ყველაზე გასართობი დღესასწაული პატარებისთვის.

იუბილარი ჯუჯების გარდა, 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისის მერიის ორგანიზებით „მთაწმინდის პარკში" შემეცნებით-გასართობი ღონისძიება გაიმართება თბილისში მცხოვრები ბავშვებისათვის.




– პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებები. მთაწმინდის პარკში ბავშვებისათვის ზღაპრული სამყაროს შექმნა, სადაც ყველა მსურველი შეძლებს გაატაროს დაუვიწყარი დღე. ღონისძიებები 12 საათზე გაიხსნება, მოეწყობა პროფესიების დაუფლება, გაიცემა შესაბამისი დიპლომი, ჩატარდება კონკურსები, შეჯიბრი, გამოიფინება ხელნაკეთობები. მთაწმინდის პარკში მოეწყობა გასართობი სადგურები. პატარებისთვის წარმოდგენილი იქნება პარაშუტის პროგრამა, ხოლო სადღესასწაულო განწყობას კონცერტი დაასრულებს, – განაცხადა

გაგრძელება მე-10 გვერდზე